ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 2013 №46 (6047) ფასი: 30 თეთრი

## მთავარი პროკურატურა უგულავასთვის 1 მლნ ლარის ოდენობით გირაოს შეფარდებას ითხოვს

მთავარმა პროკურატურამ საქალაქო სასამართლოს დედაქალაქის მერ გიგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით 1 მლნ ლარის ოდენობით გირაოს შეფარდების შუამდგომლობით მიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედი" ავრცელებს.

გარდა ამისა, თბილისის მერს ქვეყნის დატოვება ეკრძალება და ის კვირაში ერთხელ საგამოძიებო ორგანოში უნდა გამოცხადდეს. ასევე სასამართლოში შევიდა შუამდგომლობა დავით კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში უნდა იმსჯელოს. შეგახსენებთ, რომ გიგი უგულავას „ტელეიმედის" მითვისება და საბიუჯეტო თანხებით „ნაციონალური მოძრაობის" თვალთმაქცური დაფინანსება ედება ბრალად.

პირველი

# კბილაშვილმა, შესაძლოა, სააკაშვილი დაკითხოს



გვ.3



პარლამენტში საგამოძიებო კომისია აღარ შეიქმნება

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ამ დღეებში თბილისის საკრებულოში ნაციონალების ფრაქცია დაიშლება"

გვ.4



## გიორგი სანაიას ოჯახი საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს

გვ.3



გვ.2

## რეზო ამაშუკელი: „კეზერაშვილმა გოჩა ძასოხოვს მოსთხოვა, ქონება ჯოზეფ ქეიზე გადაეფორმებინა"



## მერაბ ტურავა: „პოლიტპატიმრების საქმეები ხელახლაა შესასწავლი"

გვ.5

## გიორგი ვაშაძე: „ვწუხვარ. ჯოზეფ ქეი თაღლითობისთვის რომ არ გასამართლდა"

გვ.2



## ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა ავირჩიოთ"

გვ.6



9 771987 938006

**2** რატომ არ სრულდება ჩინოვნიკის გადადგომის პირობა 50 ხელმოწერის შემდეგ

**6** რამდენ ოჯახს შეუჩერდა სოციალური დახმარება?

**4** მეუფე იაკობი: „ქვეყნის გარეთ ერთმანეთზე ლაპარაკი სირცხვილია"

**3** იძულებით წართმეული საკუთრების დაბრუნების საკითხზე კანონპროექტი მომზადდა

# რეზო ამაშუკელი: „კეზერაშვილმა გოჩა ძასოხოვს მოსთხოვა, ქონება ჯოზეფ ქეიზე გადაეფორმებინა“

შორენა მარსაგიშვილი



**ყვავილოვანი მთავრობის ჟამს ქონების გადაფორმება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ბიზნესმენების საკმაოდ დიდმა ნაწილმა „საკუთარი ნებით აჩუქა“ სახელმწიფოს ქონება. ვინც იწუწკა, გონების გასახსნელად საპყრობილეებში გაუშვეს, იქ კი ნებისმიერს გაუჩნდებოდა თავისი ბიზნესის „გაჩუქების“ სურვილი.**

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქონებაწართმეულებმა სათანადო ორგანოებს მიმართეს. მათ შორის იყო „ქართული შაქრის“ მფლობელი გოჩა ძასოხოვი. ეს ადამიანი სააკაშვილმა ერთხელ ჩვენი დროის გმირად დაასახელა, მერე კი, როცა მისი ახირებების ასრულება აღარ მოისურვა, მოღალატედ შერაცხეს, ოღონდ მანამდე ქონების ნაწილი ჩამოართვეს, მერე კი ქვეყნიდან გააქციეს.

ვიღაც „ჭკვიანმა“ სააკაშვილს სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობის შექმნა ურჩია. გადაწყვიტეს ალტერნატიული პრეზიდენტის არჩევა. ამ პოსტის დაკავება პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვს შესთავაზა. მან უარი თქვა და ამის შემდეგ დაიწყო მისი დევნა. აგვისტოს ომის დროს კი მოღალატედ გამოაცხადეს და მისი ქონება დააყადაღეს.

ძასოხოვი იმ დროისათვის პეკინის ოლიმპიადაზე იმყოფებოდა და ქართული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა. ამავე დროს ის ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) სენატორთა კლუბის წევრი გახლდათ. სააკაშვილის მიერ გამოცხადებული კაპიტულაციიდან რამდენიმე დღეში თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა სკანდალური ინფორმაცია გვამცნო. მისი თქმით, ქართულ სოფლებს ბანდფორმირებები შეესივნენ და მათ წინ ძასოხოვი მიუძღოდა. არადა, ის იმ მომენტისთვის პეკინში გამარჯვებულებს აჯილდოებდა. პეკინიდან ის საქართველოში აღარ დაბრუნდა.

— ან სად უნდა ჩამოვსულიყავი, როცა საცხოვრებელი სახლიც კი დამიყადაღეს, — განაცხადა მოგვიანებით ბიზნესმენმა.

მისი ქონება ნაციონალებმა და მათმა ახლობლებმა გადაინაწილეს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მანაც გადაწყვიტა სამართლის პოვნა, პროკურატურასაც გაუგზავნა მიმართვა და საქმის შესწავლა მოითხოვა. ქართულ-ოსურმა მისიამ კი პარლამენტს მისთვის პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭება სთხოვა. ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარეს ქართულ-ოსური მისიის თავმჯდომარე რეზო ამაშუკელმა მიმართვა გაუგზავნა. რეზო ამაშუკელი თავის წერილში წერს, თუ ვის სახელზე სთხოვდნენ ბიზნესმენს ქონების გადაფორმებას.

— „ქართულ-ოსური მისია“ სრულად იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებთან დაკავშირებით. თქვენ გაბედული ნაბიჯი გადადგით, მაგრამ პრობლემა სრულად უნდა მოიხსნას. ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ ბიზნესთან დაკავშირებული სამი პიროვნება განსაკუთრებულ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, იძულებული გახადეს, დაეტოვებინათ საქართველო. კონსტანტინე სალია აფხაზია, გოჩა ძასოხოვი — ოსი, ქიბარ ხალვაში — აჭარელი. ამ უკანასკნელის მიმართ თქვენ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება და მასზე არ ვისაუბრებთ. არა გვგონია, რომ საქართველოს სახელს მატებდეს კონსტანტინე სალიასა და გოჩა ძასოხოვის დევნილობაში ყოფნა, მით უფრო მაშინ, როცა, ჯერ ერთი, ავიწროებდნენ, უსამართლოდ მოექცნენ, ხელყვეს მათი საკუთრება და, მეორე მხრივ, უამრავი კეთილი საქმე აქვთ გაკეთებული და სამომავლოდაც ასევე არიან განწყობილნი, — წერს რეზო ამაშუკელი.

მისი თქმით, კონსტანტინე სალია ერთ-ერთი გამორჩეული და ღირსეული პიროვნებაა ქართველი საზოგადოებისათვის. ძასოხოვს კი ქვეყნისთვის საჭირო კაცს უწოდებს.

— ის ყოველთვის მხარს უჭერდა ერთიან ქართულ სახელმწიფოს, პირდაპირ ვთქვათ, სიმბოლო იყო ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის, უდიდესი ნდობით სარგებლობს გერმანელ ბიზნესმენთა შორის — იძულებული გახადეს, ოჯახთან ერთად დაეტოვებინა საქართველო. ამჟამად გერმანიაში აქვს მიღებული თავშესაფარი. გოჩა ძასოხოვი — წარმატებული ბიზნესმენი და მეცენატი, რომელსაც სააკაშვილი საჯარო გამოსვლებში გმირს უწოდებდა, მისგან მორჩილებას ელოდა. ვერ მიიღო — გაწირა. გაწირა იმის გამო, რომ უარი თქვა არა უბრალოდ თანამდებობაზე, არამედ უაზრობა უწოდა სამხრეთ ოსეთის მეორე მთავრობის შექმნის იდეას, რადგან მიაჩნდა, რომ ეს არც ქართველების და არც ოსებისთვის არ იყო კარგი. ამის გამო თქვა უარი სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარეობაზე დევნილობაში, დეპუტატობაზე ლიახვის ხეობიდან. ერთ დღეში პრეზიდენტის მიერ გმირად, წარმატებულ ბიზნესმენად და მეცენატად წოდებული, მის მიერვე შერისხული გახდა. პრეზიდენტის რისხვა სისრულეში მოიყვანეს მისმა მორჩილებმა. გენერალურმა პროკურორმა ადეიშვილმა თქვა, გოჩა ძასოხოვის მხოლოდ გვარს დავტოვებთ საქართველოშიო და თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის კაბინეტში გამოუცხადეს განაჩენი — „გადააფორმე შენი ბიზნესი ჯოზეფ ქეიზე“. ამოქმედდა პრეზიდენტის მორჩილი სასამართლო სისტემა — დაუსწრებლად განაჩენი გამოუტანეს, რომელზეც შემდგომ 9 წელი დაუმატეს საკუთარი სახლის შესყიდვის მცდელობისთვის. ჩვენ უკვე დიდი ხანია გვაქვს შემოტანილი თხოვნა საქართველოს პარლამენტში, რომ მას მიენიჭოს პოლიტიკური დევნილის სტატუსი; ასევე მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა გამოძიებულ იქნეს გოჩა ძასოხოვის წერილში მოყვანილი ალმაშფოთებელი ფაქტები, — წერს ამაშუკელი თავის წერილში.

ამ წერილში ამაშუკელი კიდევ ორი პრობლემის მოგვარებას სთხოვს პარლამენტის თავმჯდომარეს.

— დასანანია, რომ აზროვნებისათვის მიუწვდომლად არის გართულებული საქართველოს მოქალაქეების გადაადგილება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ანუ ჩვენ მიერვე აღიარებულ საქართველოს საზღვრებში. კიდევ უფრო გვიჭირს იმის თქმა, რომ მიმოსვლას ქართული მხარის წარმომადგენლები გაცილებით მეტ წინააღმდეგობას უწევენ. ჩვენი წინადადება კონკრეტული და ლაკონიურია: საქართველოს ყველა მოქალაქეს ქართული მხარისაგან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა შეეძლოს გადაადგილება როგორც სოხუმის, ასევე ცხინვალის მიმართულებით. რამდენიმე თვის წინ „საქართველოს ხალხთა ასამბლეამ“ მოგვმართა თხოვნით, დაგვეზუსტებინა პატიმართა სია სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. სამწუხაროდ, დღემდე ეს ვერ შევძელით. გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს სია უბრალოდ არ არსებობს და გამოვრიცხოთ ექსპერტთა გარკვეულ წრეებში გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ იგი თითქოს გასაიდუმლოებულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან საუბრისას ამ თემით სპეკულაციის საფუძველი ყველას უნდა მოვუსპოთ. გვჯერა, ჩვენს გულწრფელ დამოკიდებულებას ჩვენი ძმების ასეთივე განწყობა მოჰყვება, ეს კი კარგი საყრდენი იქნება მომავალი ურთიერთობებისათვის. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი კვირის წინ მივმართეთ სასჯელაღსრულების მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს და სახალხო დამცველს, ბატონ უჩა ნანუაშვილს, — ნათქვამია წერილში.

# რატომ არ სრულდება ჩინოვნიკის გადადგომის პირობა 50 ხელმოწერის შემდეგ



კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა (გიორგი) გოგოლაურმა მისი მოწინააღმდეგეების მიერ შეგროვებულ ხელმოწერებში ერთი და იგივე პიროვნების მიერ ორჯერ ხელმოწერის ფაქტები დააფიქსირა. ამის შესახებ მან შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა. ხელმოწერებამდე გოგოლაურმა ქართლი.ჯი-სთან პირობა დადო, რომ თუკი აქციის წევრები 50 კაციან ხელმოწერას ადგილზე შეაგროვებენ, გადადგება. რამდენიმე ხნის შემდეგ მის კაბინეტში 70– კაციანი სია შეუტანეს.

,,პირველ რიგში, ამ ხელმოწერებში ისეთი ადამიანებია შეყვანილი, რომლებსაც პირადობის მოწმობები მითითებული არა აქვთ. მეორეც რამდენიმე პიროვნება, მათ შორის ბექა ბაქაქური ორჯერ აწერს ხელს. ხელმოწერები შეაგროვეს სახლებში, დაიარეს და კარდაკარ იმოძრავეს.“ — აცხადებს გოჩა გოგოლაური.

კასპში სააკაძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე საკრებულოს თავმჯდომარის დავით მესროფაშვილის და მისი მოადგილის გოჩა გოგოლაურის მოთხოვნით აქცია 21 თებერვალს გაიმართა. უფრო მცირერიცხოვანი შეკრება 20 თებერვალსაც ჩატარდა.

კოალიცია ,,ქართული ოცნების“ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, კასპის საკრებულოს ხელმძღვანელად ამავე საკრებულოს რესპუბლიკელი წევრის ხათუნა თათანაშვილის არჩევაა გადაწყვეტილებით. აქციაზე კასპის გამგებლის თანამდებობაზე მოაზრებული, ,,თავისუფალი დემოკრატების წევრი, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას დეიდაშვილის შვილი გიორგი ბესტავაშვილიც იმყოფებოდა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ გიორგი ბესტავაშვილის მეგობარი მიხეილ ზერეკიძე მოიაზრება, რომელიც რამდენიმე დღის წინ, საკრებულოს იურიდიული კომისიის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლდა. მიხეილ ზერეკიძე აცხადებს, რომ მისი გათავისუფლება საკრებულოს და რაიონის ხელმძღანელობის ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად განხორციელდა.

საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე გადადგომას არ აპირებენ: ,,თუ ერთი ცდომილებაც აღმოჩნდება ამ სიებში, მე, რა თქმა უნდა, პირობის ასრულებას ნუ მომთხოვთ. ხოლო აქციაზე შეკრებილები არ იყვნენ პარტია ,,ქართული ოცნების“ წევრები. ამ პარტიას კასპში ხელმძღვანელობას რამაზ ბერიანიძე. თუ რამაზ ბერიანიძე იტყვის, რომ მე უნდა გადავდგე, მაშინ არც მაგაზე ვარ წინააღმდეგი“ — აცხადებს გოჩა გოგოლაური.

აქციაზე ძირითადად კოალიცია ,,ქართულ ოცნებაში“ შემავალი პოლიტიკური სუბიექტების ,,თავისუფალი დემოკრატების“ და ,,რესპუბლიკელების“ წარმომადგენლები იყვნენ.

**შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი**

# უგულავას „თბილსერვისთან“ დაკავშირებული საქმის მასალები ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გადაეგზავნება




თბილისის მერის გიგი უგულავას „თბილსერვისთან“ დაკავშირებული საქმის მასალები შესასწავლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს გადაეგზავნება.

ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია სუხიაშვილმა უგულავას საქმესთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ქალაქ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ისარგებლა დუმილის უფლებით და მისი დაკითხვა არ მომხდარა. მას დღეს მხოლოდ ბრალი წარედგინა. ის ბრალდებულია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც თავისუფლების 9-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. ასევე მინდა, გითხრათ, რომ „თბილსერვისთან“ დაკავშირებით, საქმის გამოძიებაში კიდევ ერთი უწყება ჩაერთვება. საგამომოძიებო სამსახურის თანამშრომლები საქმის მასალებს შესასწავლად გადაუგზავნიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს“, — განაცხადა სუხიაშვილმა.

**პირველი**

# გიორგი ვაშაძე: „ვწუხვარ. ჯოზეფ ქეი თაღლითობისთვის რომ არ გასამართლდა“



საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე წუხს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს ბიზნესმენი ჯოზეფ ქეი თაღლითობისთვის არ გასამართლდა.

ამის შესახებ ვაშაძემ ჯოზეფ ქეის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ საქმესთან დაკავშირებით მიცემული ჩვენების კომენტირებისას განაცხადა.

„ჯოზეფ ქეი ჩემთვის არის აბსურდული პიროვნება ისტორიაში და საერთოდ, რატომ გახდა ეს ადამიანი პიროვნება, ეს არის უფრო გამოსაკვლევი, ვიდრე მისი რაღაცა განცხადებები, რომ ტელეფონზე დაურეკა თურმე პრეზიდენტმა. ისეთ რაღაცეებს ლაპარაკობს ეს კაცი, მე მგონი, ყველა ადამიანისთვის დაუჯერებელია. ეს ადამიანი არის ჩვეულებრივი საერთაშორისო თაღლითი და მეტი არაფერი. მისი თაღლითობა ცნობილია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მე ვწუხვარ, რომ ჩვენი ხელისუფლების დროს ეს ადამიანი თავისი თაღლითობისთვის პასუხისგებაში მიცემული არ იყო“, — განაცხადა ვაშაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გუშინ ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის ჩვენებიდან ამონარიდი გაავრცელა.

დაკითხვის ოქმში, რომელიც 2013 წლის 15 თებერვალს თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართა, ჯოზეფ ქეი ჰყვება, როგორ დაათმობინეს „იმედის“ წილი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ქეი აცხადებს, რომ არხის გადაცემაზე მოლაპარაკებებს თბილისის მერ გიგი უგულავასთან და დავით კეზერაშვილთან, ასევე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთანაც აწარმოებდ

**პირველი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დღეს ეკლესია ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს აღნიშნავს

დღეს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს აღნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით ყველა მოქმედ ეკლესია-მონასტერში წირვა შესრულდება.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ამჟამად ათონის წმიდა მთაზეა დაცული. საეკლესიო გადმოცემით, ხატი IX საუკუნეში ერთი ქვრივი დედაკაცის კუთვნილება იყო. ხატმბერძოლმა მწვალებელმა ღვთისმშობლის ხატს შუბი აძგერა. ხატის დაზიანებული ადგილიდან სისხლმა დაიწყო დენა. ქვრივმა იმის შიშით, რომ ხატი მწვალებლებს უარესად არ დაეზიანებინათ, ფულს შეჰპირდა, თვითონ კი ხატის გადარჩენის მიზნით, სიწმინდე ზღვაში ჩააგდო. ზღვის ტალღებზე დამდგარმა ხატმა ათონის მთას მიაღწია. ათონელი ბერების ლოცვითა და ვედრებით სიწმიდე ათონის ივერთა მონასტერში დააბრძანეს, მაგრამ მეორე დღეს ხატი სავანის კარიბჭეზე ნახეს. ასე განმეორდა მრავალჯერ, სანამ ათონის ერთ ბერს, გაბრიელს, ღვისმშობელი არ გამოეცხადა და არ ამცნო, რომ ხატი მონასტრის კარიბჭეზე დაებრძანებინათ. მას შემდეგ წმიდა ხატი კარიბჭის ხატადაც იწოდება.

**მედიანიუსი**

# გიორგი სანაიას ოჯახი საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს



ჟურნალისტ გიორგი სანაიას ოჯახი საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს და უახლოეს მომავალში პროკურატურას მიმართავს.

მოკლული ჟურნალისტის ოჯახის წევრები, ახლობლები და ჟურნალისტები დღეს ტრადიციულად, გიორგი სანაიას დაბადების დღეზე მის საფლავზე შეიკრიბნენ, სადაც ოჯახის წევრებმა სპეციალური განცხადება გააკეთეს.

,,სასამართლო სხდომებით ყველაფერი ფალსიფიცირებულად წარიმართა. ამიტომ ამ საქმის ხელახალი გამოძიებაა საჭირო. ჩვენ ამისთვის მივმართავთ პროკურატურას. ჩვენი ოჯახი ყველანაირად დავეხმარებით, რომ დადგეს ობიექტური ჭეშმარიტება, დადგინდეს სიმართლე, თუ ვინ, რატომ, რა მიზნით შეუკვეთა ეს პოლიტიკური მკვლელობა. ვინ იყვნენ თანამონაწილეები, დამხმარეები“-აღნიშნა ვახო სანაიამ.

მისი თქმით, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას საქმეში მონაწილეობა არ გამოირიცხება, თუმცა მის მიერ დასახელებული მიზეზები არსებითი არ არის. მკვლელობა გახსნილი არ არის და შემკვეთები არ დასჯილან.

გიორგი სანაიას გუშინ 38 წელი შეუსრულდებოდა. იგი 2001 წლის 26 ივლისს საკუთარ სახლში მოკლეს.

**მედიანიუსი**

# იძულებით წართმეული საკუთრების დაბრუნების საკითხზე კანონპროექტი მომზადდა

დღეს სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და იურიდიული ფირმა ,,მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგური“ გამართავენ პრეზენტაციას კანონპროექტისა ,,სახელმწიფო მუნიციპალურ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემული ქონების რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“.

საქმე ეხება 2004-2012 წლებში ფართოდ გახმაურებულ შემთხვევებს, როდესაც ფიზიკური და კერძო სამართლის პირები თავიანთ ქონებას ,,ნებაყოფლობით“ ჩუქნიდნენ სახელმწიფოს. სინამდვილეში კი ამგავრი გადაწყვეტილებები მიიღებოდა მესაკუთრეთა იძულებით.

კანონპროექტის მიზანია, შეიქმნას სახელმწიფოსათვის ნაჩუქარი, რეალურად კი წინა ხელისუფლების მიერ მიტაცებული ქონების დაბრუნების ან კომპენსაციის სპეციალური, ტრადიციულთან შედარებით ეფექტური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, მესაკუთრეებს არსებულ საკანონმდებლო პრეზუმპციაზე დაყრდნობით დაუბრუნდებათ ქონება ყოველგვარი გამოძიების გარეშე.

კანონპროექტი დაინტერესებულ პირებს უწესებს ერთწლიან ვადას, რომლის ფარგლებშიც მათ შეეძლებათ წარადგინონ განცხადება რესტიტუციის/კომპენსაციის უფლების გამოყენების შესახებ.

შეხვედრას დაესწრებიან იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე, პარლამენტის წევრები ეკა ბესელია, ზაქარია ქუცნაშვილი და შალვა შავგულიძე.

**მედიანიუსი**

# კბილაშვილმა, შესაძლოა, სააკაშვილი დაკითხოს

## პარლამენტში საგამოძიებო კომისია აღარ შეიქმნება



შორენა მარსაგიშვილი

**ჩვენი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას. წლების განმავლობაში ქვეყანაში სამართალი დიეტაზე იყო და ურმით დადიოდა. ბევრი გახმაურებული საქმე დღემდე გამოუძიებელი იყო. ამიტომაც ამყარებდა ხალხი დიდ იმედს პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე.**

.ამ კომისიისთვის თინა ხიდაშელს უნდა ეხელმძღვანელა. მას მანამდეც ბევრი ხმაურიანი საქმე ჰქონდა სააშკარაოზე გამოტანილი. თინას კომისიისგან ხალხი ბევრს ელოდა. ნაციონალებმა თავად მოინდომეს ამ კომისიის „დათრევა“. ამტკიცებდნენ ასეთი კომისია ოპოზიციის ხელში უნდა იყოსო. მაგრამ მეოცნებეებს მოატყუებდნენ.

ახლა კი გაირკვა, რომ პარლამენტში საერთოდ აღარ შეიქმნება საპარლამენტო კომისია. ამაში დამნაშავე არჩილ კბილაშვილია.

— თავიდანვე ვთქვით, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიქმნებოდა ეს კომისია. ამ წუთას არც მე და არც უმრავლესობა ამის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. იმიტომ, რომ ვფიქრობ, პროკურატურა ძალიან კარგად მუშაობს. თავიდან გვეშინოდა, რომ პროკურატურას არ ეჩქარა, გამომდინარე იმ ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ზეწოლისგან, რომლის ქვეშაც დღეს საგამოძიებო სტრუქტურები იმყოფებიან, მაგრამ ყველაფერი წესრიგშია. ბევრი ადამიანი გაბრაზებულია იმაზე, რომ არც ისე სწრაფად მუშაობს პროკურატურა, მაგრამ სწორედ ეს არის ის ამოცანა, რომ არავის არ გაუჩნდეს განცდა, რომ საქმეს რამე დააკლდა, რომ არის გამოძიება ნაჩქარევი და მტკიცებულებები არ არის საკმარისად შეკრებილი. ამიტომ ჩემი აზრით, დღეს ამ კომისიის შექმნის აუცილებლობა ქვეყანაში ნამდვილად არ დგას, — აღნიშნა ხიდაშელმა.

კომისიის მიღმა დარჩენილმა თინა ხიდაშელმა ჯოზეფ ქეის ჩვენებაზეც გააკეთა კომენტარი. ხიდაშელი ამბობს, რომ ბიზნესმენი ჯოზეფ ქეი რაიმე ტიპის ინფორმაციისთვის სანდო წყარო ვერ იქნება.

— ჯოზეფ ქეი რას ილაპარაკებს, არ მაინტერესებს, რადგან კარგად ვიცით, ვინ არის იგი და როგორ მოექცა პატარკაციშვილების ოჯახს. ჩემთვის ის ფაქტები უფრო მნიშვნელოვანია, რომელზეც ქეი თავის ჩვენებაში საუბრობს, გამყარებულია თუ არა სხვა მტკიცებულებებით, რადგან იგი ჩემთვის არანაირ შემთხვევაში არ და ვერ იქნება სანდო წყარო რაიმე ტიპის ინფორმაციისთვის, —აღნიშნა ხიდაშელმა.

ქეის ჩვენება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გამოაქვეყნა. სადაც ქეი ჰყვება, თუ როგორ დაათმობინეს ტელეკომპანია „იმედის“ წილი ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილმა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილმა. „ახალი თაობა“ გთავაზობთ ამ ჩვენების ამონარიდს, რომელიც საგამოძიებო სამსახურმა თავის ვებ-გვერდზე განათავსა.

— 2008 წლის 15-16 დეკემბერს მე ვიმყოფებოდი თბილისში, ჩემს სახლში, მდებარე ჭანტურიას №5-ში. იყო ღამის საათები, რა დროსაც ჩემს მობილური ტელეფონის ნომერზე დამიკავშირდა დავით კეზერაშვილი. სავარაუდოდ მისი მობილური ტელეფონის ნომრიდან და მითხრა, რომ მივსულიყავი მასთან ოფისში. მე თარიღი იქიდან გამომდინარე დამამახსოვრდა, რომ ზუსტად ამ დროს ჩემი და, ირმა იაკუბოვა იყო ახალი ჩამოსული აშშ-დან ჩემთან სტუმრად. მე ვუთხარი, რომ დაცვა და მძღოლი მყავდა უკვე გაშვებული და დრო მჭირდებოდა რომ გამომეძახებინა, თუმცა მან მითხრა, რომ არ იყო ამის საჭიროება და თვითონ გამომიგზავნიდა ვინმეს. მართლაც, რამდენიმე ხანში, დაახლოებით ღამის 3-ის ნახევარზე მანქანით მომაკითხა უცნობმა იპიროვნებამ და წამიყვანა დავით კეზერაშვილის ოფისში. ამ დროს ჩემთან სახლში იმყოფებოდა ჩემი მეუღლე სოფიო კეი და ასევე ჩემი და ირმა იაკუბოვა. კეზერაშვილის ოფისი იმ დროს მდებარეობდა ვაკეში მოსაშვილის ქუჩის დასაწყისში მდებარე შენობის პირველ სართულზე. როგორც ვიცი ეს იყო მისი პირადი ოფისი. შესვლისას ოფისში დამხვდნენ ჩემთვის უცნობი 20-მდე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სავარაუდოდ დაცვის თანამშრომელი. მიმაცილეს და შემიყვანეს დავით კეზერაშვილის კაბინეტში, სადაც მარტო დამხვდა ეს უკანასკნელი.

მისალმების შემდეგ დავით კეზერაშვილმა კატეგორიული ტონით მითხრა, რომ გადაწყვეტილება იყო მიღებული, რომ მე უნდა დამეთმო მათთვის "ტელეიმედი", აქვე დაამატა, რომ ინა გუდავაძე, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე აპირებდა ჩემს წინააღმდეგ სარჩელების შეტანას სასამართლოში და მათ შორის შეეცდებოდა ტელეკომპანიის წართმევას. მე ვუპასუხე რომ ტელეიმედთან დაკავშირებულ საკითხებზე მოლაპარაკებას ვაწარმოებდი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილთან. შესაბამისად ამ საკითხზე აუცილებლად მჭირდებოდა მასთან დალაპარაკება. მე რა თქმა უნდა არ მინდოდა და არ ვაპირებდი ტელეიმედის არავისთვის დათმობას, რადგან პირველად სხვაგვარად ვიყავი შეთანხმებული. აღნიშნულზე დავით კეზერაშვილი გავიდა კაბინეტიდან, რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა და მომაწოდა ტელეფონი, რომლის ხაზზე იყო მიხეილ სააკაშვილი. მან ტელეფონში მითხრა, რომ ტელევიზია უნდა დამეთმო:

ჩათვალე, რომ მე მაძლევ ტელეიმედს, გონივრულად თუ მოიქცევი ჩვენი მეგობრობა ამის შემდგომაც გაგრძელდება. უბრალოდ ტელევიზია უნდა მომცე მე და კეზერა რასაც გეტყვი დაუჯერე. ჩათვალე ეგ რასაც გეუბნება გეუბნები მე, - და ტელეფონი გამითიშა.

ზუსტად მობილური ტელეფონი იყო თუ ქალაქის ტელეფონი არ მახსოვს. ერთადერთი ის მახსოვს, რომ უსადენო აპარატი იყო. მიხეილ სააკაშვილთან სატელეფონო საუბარი რომ დავამთავრე დავით კეზერაშვილმა მითხრა, რომ ხომ ხედავ ეს მარტო ჩემი ინიციატივა არ არის, ტელევიზია აუცილებლად უნდა დაგვითმო. თუ ჭკვიანი ებრაელი ხარ და გინდა ჩვენთან მეგობრობა გააგრძელო, თუ არ დათმობ კიდევ ამ ოთახიდან ვერ გახვალ. აქვე დაამატა, რომ ჩვენ შენ არ გწირავთ. ტელევიზიაში რა ხარჯებიც გაქვს გაწეული სრულად აგინაზღაურებთო და მკითხა რა იყო ჩემი გადაწყვეტილება.

ჩვენი საუბრის დროს მას ხელში ეკავა დიდი ზომის ხანჯალი და ჩვევისამებრ ხელში ატრიალებდა. ასეთი საუბრის შემდეგ მე მისი მუქარა აღვიქვი რეალურად და ვუპასუხე, რომ ფაქტიურად არ მქონდა არჩევანის საშუალება და იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავი მის წინადადებას. აქვე ვუთხარი, რომ მე იმედის ტელევიზიაში მქონდა გაწეული დიდი ხარჯი და ვინაიდან მიჰქონდათ ტელევიზია, ეს ხარჯი ჩემთვის სრულად უნდა აენაზღაურებინათ. ასევე ვკითხე, თუ ვისზე უნდა გადამეფორმებინა ტელევიზია. დავით კეზერაშვილმა მიპასუხა, რომ ხარჯებზე არ მენერვიულა. მათ ყველაფერი იცოდნენ ამის შესახებ. დაითვლიდნენ და სრულად ამინაზღაურებდნენ. რაც შეეხება ტელეიმედის გადაფორმებას, ამ დეტალებზე ყველაფერს მეტყოდა გიორგი უგულავა.

დავით კეზერაშვილთან შეხვედრიდან სავარაუდოდ მეორე დღესვე შევხვდი თბილისის მერს გიორგი უგულავას მის სამუშაო ოთახში. სავარაუდოდ ეს უკანასკნელი დამიკავშირდებოდა მობილურ ტელეფონზე. როგორც მახსოვს გიგი უგულავას მობილური ტელეფონის ნომრები იყო. შეხვედრა მოხდა მის სამუშაო კაბინეტში, რომელიც მდებარეობდა მერიაში, როგორც მახსოვს მეოცე, ან 21-ე სართულზე. შეხვედრაზე ვიყავით მხოლოდ ჩვენ ორნი.

გიორგი უგულავამ მითხრა, რომ ტელეიმედის გადაფორმებისთვის საჭირო ყველა იურიდიულ დოკუმენტს გაამზადებდნენ თვითონ. ჩემგან ერთადერთი საჭირო იქნებოდა, რომ უკვე გამზადებულ დოკუმენტებზე მომეწერა ხელი. ასევე მან განმიცხადა, რომ ისინი სრულყოფილად დაითვლიდნენ იმ დანახარჯს, რაც მე მქონდა გაწეული ტელეიმედში და სრულად ამინაზღაურებდნენ. ამ ოპერაციით მე დაზარალებული არ დავრჩებოდი. ამის შემდგომ, პერიოდულად მიგზავნიდნენ სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტაციას, რომლებსაც ზედმეტი კითხვების გარეშე ვაწერდი ხელს. ზოგადად ვიცოდი, რომ ამ ყველაფრით ხდებოდა ტელეიმედის სხვა პირებზე გადაცემის იურიდიულად გაფორმება, თუმცა მე დეტალებით არ დავინტერესებულვარ. ერთადერთი ის ვიცოდი გიორგი უგულავასგან, რომ ფორუმალურად მიტოვებდნენ 10% ტელეიმედში.

2009 წლის იანვრის თვეში, მას შემდეგ,



რაც მე მოვაწერე ხელი ყველა იურიდიულ დოკუმენტაციაზე და იურიდიულად გაფორმდა ტელეიმედის გადაცემა, მოხდა შეხვედრა ჩემს, დავით კეზერაშვილს და გიგი უგულავას შორის. ამ უკანასკნელის სამუშაო კაბინეტში, სადაც საუბარი მიმდინარეობდა ჩემს მიერ ტელეიმედში გაწეული ოპერაციული დანახარჯების ოდენობაში და მათ მიღებაზე. შეხვედრაზე მე ვთქვი, რომ ტელეიმედის საქმიანობისას ჩემს მიერ საოპერაციო ხარჯებში დახარჯული იყო დაახლოებით 11 მილიონი აშშ დოლარი, რაზეც გიორგი უგულავამ მიპასუხა, რომ ისინი უფრო იყვნენ ჩახედულები ტელეიმედის საქმიანობაში და ჩემი დანახარჯები ტელეიმედში შეადგენდა დაახლოებით 10 მილიონ აშშ დოლარს. მათ მმზადყოფნა გამოთქვეს, რომ ჩემთვის აენაზღაურებინათ ტელეიმედში გაწეული დანახარჯი 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მე კვლავ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი და იძულებული ვიყავი დავთანხმებულიყავი მათ წინადადებას. მათ მითხრეს, რომ მიმეცა ჩემი რომელიმე კომპანიის ანგარიში, სადაც ჩარიცხავდნენ აღნიშნულ თანხას. მე ვკითხე მათ საიდან წამოვიდოდა თანხა, რადგან მაინტერესებდა ფულის წარმომავლობა, რომ პრობლემები არ მოჰყოლოდა ამ თანხის ჩემს კომპანიაში ჩარიცხვას, რაზეც მათ მიპასუხეს, რომ ეს ფული წამოვიდოდა დ. იაკობაშვილის ფირმიდან, რომელსაც მათი თქმით ჰქონდა მათი ფული.

ვინაიდან მე ვიცნობდი დ. იაკობაშვილს და ვიცოდი მისი ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, ეჭვი აღარ შემპარვია ფულის წარმომავლობაში და ჩემს ლონდონის ოფისის მენეჯერს ნატალია შაჩკოვას დავავალე მათთვის მიეწოდებინა დიდ ბრიტანეთში ღია კომპანიის რეკვიზიტები. დ. კეზერაშვილმა და გ. უგულავამ რაში გამოიყენეს ჩემი ლონდონის ოფისის მიერ მათთვის გადაცემული რეკვიზიტები არ ვიცი, თუმცა ერთი ვიცი, რომ 2009 წლის 12 თებერვალს ჩვენს მიერ მითითებულ ანგარიშზე გადმოირიცხა დაახლოებით 8 800 000 აშშ დოლარი.

გადმორიცხული თანხის ოდენობიდან გამომდინარე მე ვიყავი უკმაყოფილო, ვინაიდან გადმომერიცხა შეთანხმებულ 10 მილიონ აშშ დოლარზე გაცილებით ნაკლები თანხა და ჩემი უკმაყოფილების შესახებ ვუთხარი დავით კეზერაშვილს. პასუხად ეს უკანასკნელი დამპირდა, რომ არ მენერვიულა ამ საკითხზე და დარჩენილ თანხას მომცემდა, თუმცა დღემდე დარჩენილი თანხა არ აუნაზღაურებია.

მართალია, იურიდიულად გაფორმდა ტელეიმედის გასხვისება და ეს ოპერაცია დასრულდა, თუმცა ამ ფაქტის გასაჯაროება არ მომხდარა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჩემს წინააღმდეგ განაგრძობდა ჩივილს. აქედან გამომდინარე მე გიორგი უგულავასთან ასუბარში მოვითხოვე, რომ მომხდარიყო ტელეიმედის გასხვისების გაშუქება ტელეიმედის მეშვეობით. გიორგი უგულავა დამთანხმდა და სასწრაფოდ გაუკეთა ორგანიზება ტელეიმედის გასხვისების თემის გაშუქებას. კერძოდ, როგორც მახსოვს 2009 წლის 25 თებერვალს მან მოიყვანა ვიღაც არაბი სახელად მარკი, რომელთან ერთად ჩვენ მოვაწყვეთ ერთობლივი პრესკონფერენცია, თითქოს ტელეიმედი შეისყიდა "რაკიინ ჯორჯიამ", რომელიც იყო უმსხილესი არაბული კომპანია და ახორციელებდა დიდ ინვესტიციებს საქართველოში. გიორგი უგულავას მითითებით მე მოვახდინე ამ პირის წარდგენა როგორც არაბი ინვესტორი და ტელეიმედის მყიდველი. რეალურად კიდევ ამ ყველაფრით მოხდა იმის მიჩქმალვა, რომ ტელეიმედს იურიდიულადაც დაეუფლნენ ზემოხსენებული თანამდებობის პირები, — ნათქვამია ჯოზეფ ქეის ჩვენებაში.

ხიდაშელი ამ ჩვენებას სანდოდ არ მიიჩნევს. არჩილ კბილაშვილი კი სააკაშვილის დაკითხვას არ გამორიცხავს. კბილაშვილი ვარაუდობს, რომ სააკაშვილი მოწმის სტატუსით დაიკითხება. წარმომიდგენია რა ამბავს ატეხენ ნაციონალები მათ მიშას ვინმემ დაკითხვა, რომ აკადროს. არადა ამაში საგანგაშო არაფერია. ის ერთხელ ხომ უკვე დაკითხა პაატა დავითაიამ.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ამ დღეებში თბილისის საკრებულოში ნაციონალების ფრაქცია დაიშლება“

გულიკო ბალაძე

**ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო საუბარი ძველი ხელისუფლების — ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა მიმართ პოლიტიკურ და ფინანსურ ამნისტიაზე. რა განწყობაა საზოგადოებაში ნაციონალების ამნისტიის თაობაზე? მაშინ, როცა სააკაშვილი კატეგორიულად უარყოფდა მისი და ნაციონალური ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ელიტურ კორუფციაში და დანაშაულებში მონაწილეობას, ახლა რატომ მოითხოვს ფინანსურ, პოლიტიკურ თუ სამართლებრივ ამნისტიას? გთავაზობთ ინტერვიუს პარლამენტის ყოფილ დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან.**

*— ბატონო დიმიტრი, როგორ აფასებთ დღეს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას?*

— დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა ქართულ, რეალურ პოლიტიკაში. ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე სიარული უწევს, ვინაიდან ერთ მხარეს არის ის ვალდებულებები, რომლებიც წინასაარჩევნოდ აიღო. ეს „ქართული ოცნების“ ერთგვარი პოლიტიკური ამოცანა და მიზანია. მეორე მხარესაა დასავლელი პარტნიორების მიერ (აშშ-ის, ევროკავშირის, ნატოს) გაკეთებული განცხადებები ძველ ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციის თაობაზე. ეს ძალიან უხერხულ და რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში აყენებს „ქარული ოცნების“ ლიდერებს. გარკვეულწილად, საზოგადოების გულის წყრომასაც იწვევს ის ფაქტი, რომ დასავლელი პარტნიორებისადმი გარკვეული კომპრომისები, ძალიან ხშირ შემთხვევაში სწორედ იმ დაპირებების არაჯეროვნად შესრულებაზე გადის, რომელიც თუნდაც დაკავშირებულია სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენის ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს დაპირებასთან. ყველა საკითხი ჭეშმარიტი მართლმსაჯულების აღსრულებას უკავშირდება, დაწყებული სასამართლო სისტემის რეალური რეფორმით, დასრულებული იმ ბოლო მოქალაქით, რომელიც ელოდება დღეს სამართლიანობის აღდგენას, ვინაიდან მთელი ამ წლების განმავლობაში იმას, რასაც ახორციელებდა ძველი ხელისუფლება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის იმ თავით, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობას და, ზოგადად, დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ. ის, რაც ნაციონალებმა ჩაიდინეს ამ წლების განმავლობაში, ვგულისხმობ პოლიტიკური ნიშნით პირთა ჯგუფის დევნას, მასობრივ მკვლელობებს. რამდენიმე დღის წინ ბატონმა არჩილ კბილაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ 2005 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, 700-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა პენიტენციურ სისტემაში და მათი ნაწილი მოკლეს. ქუჩაში დახვრეტილი ადამიანები, რომელთაგან ერთ-ერთზე ისევ დაიწყო შეუხორცებელი ჭრილობის გახსნა და გამწვავება. ძალიან მწვავე პროცესის წინაშე დავდექით, როდესაც ვიხილე შეთითხნილი, ფალსიფიცირებული კადრები, გამოძიების ჩიხში შესაყვანად გაკეთებული და გზა-კვალის ასარევად შემოგდებული. ასევეა მასობრივი გაუპატიურების მცდელობა, რაც ციხეებში ხდებოდა და ციხის კადრებში ვიხილეთ. ნაციონალური მოძრაობის ნამოქმედართა შორისაა ქონების უკანონო ექსპროპრიაციის ასეულობით შემთხვევა, რომელიც არ არის უტრირებული და რეალობას შეესაბამება. ჩემ მიერ ჩამოთვლილი თითოეული გარემოება ერთობლიობაში ქმნის მაკვალიფიცირებელ გარემოებას სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი თავით გათვალისწინებული დანაშაულისა.

***— ვისთვის იგულისხმება ამ მუხლის წაყენება? ნაციონალური მოძრაობის თავკაცებს, სააკაშვილით დაწყებული, თავი მოაქვთ, აცხადებენ, თითქოს მათ არაფერი ჩაუდენიათ, საპატიებელი არაფერი აქვთ და სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ მტკიცებულებები. ასე წარმოადგენენ თავს ისინი მასმედიით. რასთან გვაქვს რეალურად საქმე?***

— მოდით, გავუსწოროთ სიმართლეს თვალი. ის, რომ ისინი ყელყელაობენ, ჯერჯერობით, არაერთ შემთხვევაში იმ კომპეტენტური ორგანოების უმოქმედობის შედეგია, რომელთა პირდაპირი ამოცანა და დავალებაა, ყველა იმ მნიშვნელოვანი საქმის გამოძიება, რომლებიც აუცილებლად მიგვიყვანდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობამდე.

***— მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობების გამოძიებისთვის საკმარისი დრო იყო?***

— სულ რამდენიმე დღის წინ შეჯამდა ახალი ხელისუფლების ასდღიანი საქმიანობა. ვიმსჯელოთ, ამ ას დღეში შეიძლებოდა თუ არა იმ მნიშვნელოვანი ბერკეტების გამოყენება, რომელიც კონსტიტუციითა და კანონით მიენიჭა. „ქართულ ოცნებას“, რომელიც უმრავლესობით არის წარმოდგენილი პარლამენტში. პირველ რიგში, ეს არის საკონსტიტუციო რეგულაციები, დაკავშირებული საპრეზიდენტო იმპიჩმენტის თემასთან, პრეზიდენტის საკონსტიტუციო წარდგინებასთან იმ შემთხვევაში თუ ის მხილებულია დანაშაულში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი საქმე შეიწირავდა დედამიწის ზურგზე არსებული ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტს, მას რომ გაეცა განკარგულება და შემდგომ ეღიარებინა იგი პირდაპირ ეთერში, რომელიმე კონკრეტული პირის მიმართ, არამცთუ ოჯახის მიმართ სპეციალური სამხედრო ოპერაციის განხორციელებაზე.

***— აფრასიძეების ოჯახის განადგურების საქმეს გულისხმობთ?***

— დიახ, რაზეც პრეზიდენტმა სააკაშვილმა სიამაყით აღნიშნა, რომ განკარგულება მან გასცა და საუბარი იმის შესახებ, რომ ბარამიძეა პასუხისმგებელი ამ ოპერაციაზე უნდა შეწყდეს, რადგან სწორედ მან გასცა განკარგულება, აფრასიძეების წინააღმდეგ დაწყებულიყო სპეცოპერაცია და პასუხისმგებლობას ის იღებს სრულად. მაშინ პრეზიდენტს თავი ქუდში ჰქონდა და ეგონა, პოლიტიკურ სივრცეში მუდმივად იქნებოდა, მაგრამ დადგა ჟამი, როცა ორხელისუფლებიანობაა ქვეყანაში



და სააკაშვილის დღეები იმ უკანონოდ მიტაცებული ვადის გათვალისწინებითაც დათვლილია. ამიტომ ვნებათაღელვა მატულობს საზოგადოებაში. ხალხი კითხულობს, რატომ არ ვაძლევთ პასუხისგებაში დამნაშავე პირს, თუნდაც პრეზიდენტადყოფილს, როდესაც ასეთი საკონსტიტუციო ბერკეტი და ინსტრუმენტი. სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის გამოყენებით შესაძლებელია საკონსტიტუციო წარდგინება მოხდეს და პრეზიდენტის წინააღმდეგ დაიწყოს შესაბამისი პროცედურა, რომელიც გარდაუვალად დასრულდება მისი იმპიჩმენტით. „ქართულ ოცნებას“ დეპუტატთა რაოდენობა პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის ჰყოფნის. მეტიც, ყოველდღიურად გვესმის, რომ ესა თუ ის დეპუტატი უმცირესობიდან თავის რიგებს ტოვებს და უერთდება „ქართულ ოცნებას“. არ ვიცი, რა მოხდება პარლამენტში, მაგრამ თბილისის საკრებულოში პროცესი ისე შორს წავიდა, რომ ვარაუდობენ, რამდენიმე დღეში ნაციონალების უმრავლესობა დაიშლება.

***— მიუხედავად იმ დანაშაულობებისა, რომლებზეც თქვენ საუბრობთ და რა პროცესშიც ჩვენ ვიყავით ყოველდღიურად, პოლიტიკური ტემპერატურა არ დაწეულა და პოლიტიკურ ველში მოედანზე დარჩენისთვის ბრძოლა კვლავ მიმდინარეობს, ნაციონალური მოძრაობა დამარცხებას არ იმჩნევს.***

— მე გეტყვით, რატომ ხდება ეს. ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე იმ პროცესებიდან საქართველოს აბსოლუტური დამოუკიდებლობის შესახებ ვინმეს აზრი რომ ჰქონოდა, ძალიან ეფემერული იქნებოდა. ძალიან კარგად გვესმის, რომ პარტნიორების რჩევის გათვალისწინება ერთგვარი ვალდებულებაა, რომლის გათვალისწინებაც საქართველოს მოუწევს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილშია განსახილველი. სამართლებრივი ხასიათის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება მთლიანად „ქართული ოცნების“, ანუ ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშაა. ამ პროცესს ვერ გადავაბრალებთ იმ პოლიტიკური სახის ვალდებულებებს, რომელიც დასავლელი პარტნიორების წინაშე გვაქვს. თავად ჩვენ უნდა ვიზეიმოთ წარმატება მართლმსაჯულებაში. ვერ დაველოდებით, რომ ვინმე დასავლეთში ჩვენ მაგივრად აღასრულებს მართლმსაჯულებას. ამიტომ ეს ორი საკითხი გასამიჯნია. ერთია საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და საგარეო პოლიტიკური კურსის უცვლელობისადმი ერთგულების საყოველთაო დეკლარირება და მეორეა აღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის ტარება იმ ამომრჩევლის წინაშე, რომელიც შენივე კონსტიტუციით გევლინება შენივე ხელისუფლების, შენივე ძალაუფლების მთავარ წყაროდ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და არ უნდა შეგვეშალოს. ბაქრაძის ერთ-ერთ გამოსვლაზე ცნობილი მომღერლის ირმა სოხაძის ცნობილი სიმღერა — „ჯერ დედებს გვესროლეთ და მერე...“ — გამახსენდა. ამ ყელყელაობის ფონზე ნაციონალები შეტევაზე გადმოვიდნენ.

***— სააკაშვილსა და ნაციონალებს უნდათ, სრული სამართლებრივი და ფინანსური ამნისტია გამოვაცხადოთ. თქვენ კარგად იცით, როგორ უარყოფდა სააკაშვილი მისი და ნაციონალების კორუფციონერობას და დეპუტატს „მამამისის აბანოში“ გაგზავნითაც დაემუქრა. თუკი კორუფციაში არ იყვნენ გარეულები პრეზიდენტი და მისი გუნდი, ახლა რატომ ითხოვენ ფინანსურ ამნისტიას, შეგიძლიათ ახსნათ?***

— ამ თემის კულტივირება სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო. მათ შეკრიბეს გუბერნატორები, დაიწყეს მალაზია-მალაზია და კარდაკარ სიარული, ფინანსური ამნისტიის მხარდამჭერთა მოსაპოვებლად. ამავე დროს დაიწყო საუბარი პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადების აუცილებლობაზე. მინდა დავსვა შეკითხვა, მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო და სამთავრობო ფონდებიდან ტაშფანდურში მილიონები იხარჯებოდა, ქალაქის მერიას აქვს მრავალმილიონიანი გარღვევა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი მხილებულია მრავალმილიონიან ფინანსურ მაქინაციებში და ხაზინის ქურდებით იყო გამოტენილი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება, როგორ შეიძლება ფინანსურ ამნისტიაზე თანხმობის მზადება იყოს ხელისუფლების მხრიდან, სანამ არ მოხდება ზიანის შეფასება? ჯერ უნდა გაირკვეს, რა ზიანი მივიღეთ, მათი დანაშაულებრივი ქმედებებით. მე წმინდა სამართლებრივად ვსვამ საკითხს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე კატეგორიულად უნდა გამოირიცხებოდეს, ხელისუფლების მხრიდან ფინანსური ამნისტიისთვის მზაობა, სანამ კონკრეტული თანამდებობის პირები (მათ შორის საშუალო და ქვედა რგოლების ჩათვლით) არ იქნებიან მხილებული, სანამ თითოეული მათგანი არ აიღებს ვალდებულებას სისხლის სამართლის სამართალწარმოების წესით შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებებით დააბრუნოს უკან მიტაცებული თანხები ბიუჯეტში. მანამდე ამნისტიაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

# მეუფე იაკობი: „ქვეყნის გარეთ ერთმანეთზე ლაპარაკი სირცხვილია“



ეკლესიის კარი ყველა იმ ადამიანისთვის არის ღია, ვისაც გამოსწორება უნდა, — ბრძანა გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე პარტიარქის ქორეპისკოპოსმა, გარდაბნისა და მარტყოფის მთავარესპიკოპოსმა, მეუფე იაკობმა.

როგორც მან აღნიშნა, ახლა არის ფარისევლისა და მეზვერის კვირა. თუ მათ მაგალითს შევხედავთ, ფარისეველი, რომელიც იყო მცოდნე და განათლებული ადამიანი, ღმერთს მადლობდა იმისთვის, რომ სხვებისნაირი არ არის და თვითონ იქებდა თავს. მეზვერე კი, რომელიც საშინელებას სჩადიოდა და ჩაგრავდა ადამიანებს, ეკლესიაში შესვლის შემდეგ უფლის გარდა ვერაფერს ხედავდა, დაინახა თავის უბადრუკება და მიხვდა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. მას შერცხვება ჩადენილი დანაშაულის და , სავარაუდოდ, ეკლესიიდან რომ გამოვიდოდა, აღარ ისურვებდა ძველი ცხოვრებით ცხოვრებას.

„მან დაინახა სწორად, როგორ უნდა იცხოვროს. არავის არ უნდა დავუკეტოთ ეკლესიის კარი. სულ განსაცდელში ვართ ქართველები და ხშირად ღირსეულად გამოვდივართ. ღმერთს არ უნდა, რომ რომელიმე ჯოჯოხეთში გაუშვას. ადამიანი თვითონ ირჩევს ამ გზას. სასულიერო პირები ხშირად მკაცრადაც ვიქცევით, მაგრამ მაშინაც სიყვარული გვალაპარაკებს. ჩვენი ქვეყნის ხსნა ჩვენშია და ვერანაირი უცხოელი ძალები ვერ გვაიძულებენ, რომ ერთად ვიყოთ“, — ბრძანა მეუფე იაკობმა და აღნიშნა, რომ ჩვენ უნდა მივემსგავსოთ მეზვერეს. ყოველთვის უნდა შეგვეძლოს, რომ ვაღიაროთ, რასაც არასწორად ვაკეთებდით.

მისივე თქმით, უფალს უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა კარგ გზაზე დააყენოს და ჩვენ ერთმანეთს ხელი უნდა შევუწყოთ ქვეყნის შენებაში.

მეუფე იაკობი მიიჩნევს, რომ სირცხვილია ერთმანეთზე ლაპარაკი ქვეყნის გარეთ.

„უნდა დავფიქრდეთ, რას ვაკეთებთ. საქართველო ყველასია. ასევე ის არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და არავის გვაქვს უფლება, რომ რამით დავაზიანოთ. უფალმა რადგან მოინდომა, რომ მშვიდობა იყოს, იქნება კიდეც“, — ბრძანა მეუფე იაკობმა.

მისივე თქმით, ერთად ცხოვრება უნდა გვიხაროდეს და ერთმანეთზე უნდა ვზრუნავდეთ.

როგორც მან აღნიშნა, ღმერთი განსაცდელს იმისთვის კი არ გვიგზავნის, რომ ცუდი დაგვემართოს, არამედ იმისთვის, რომ იქიდან გაძლიერებულები გამოვიდეთ.

მისი თქმით, ქვეყნის არევა არავის უნდა და ისე უნდა ვქნათ, რომ ქვეყანა არ დაზიანდეს.

ქადაგების დასრულების შემდეგ მეუფლე იაკობმა ქართველი ჯარისკაცები დალოცა და აღნიშნა, რომ როცა ყველა შევრიგდებით და ერთმანეთის გატანა შეგვეძლება, ჯარისკაცები უფრო მეტად დაფასდებიან, რადგან ისინი გამორჩეულები არიან.

**მედიანიუსი**

# ავღანეთში დაჭრილი ქართველი სამხედროს რეაბილიტაცია ინტენსიურად მიმდინარეობს

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ გერმანიაში ჰაიდელბერგის ამერიკულ ჰოსპიტალში ავღანეთში დაჭრილი ჯარისკაცი რამაზ დავითაია მოინახულეს.

კაპრალი დავითაია სამშვიდობო მისიაში სპეციალური ოპერაციის შესრულების დროს სნაიპერის ტყვიით დაიჭრა. გერმანელი ექიმების შეფასებით ქართველი სამხედროს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი მკურნალობის კურსი ინტენსიურად მიმდინარეობს. თავდაცვის სამინისტროს და გერმანელი ექიმების ერთობლივი გადაწყვეტილებით ქართველი კაპრალი მკურნალობას გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო კლინიკაში გააგრძელებს, რათა მოხდეს მისი სრულყოფილად რებილიტაცია.

როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ჰაიდელბერგის ამერიკულ კლინიკაში დავითაიას ყველა პირობა აქვს შექმნილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის. კაპრალთან გერმანიაში მუდმივად იმყოფებიან მისი ნათესავები და ოჯახის წევრები. დავითაიას ყოველდღიური კავშირი აქვს საქართველოში ოჯახთან.

მეორე ბრიგადის ოცდამესამე ბატალიონის კაპრალი, რამაზ დავითაია 5 თვის წინ ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილეობისას დაიჭრა.

**მედიანიუსი**

# პროკურატურამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ორი მოსამართლის პირადი საქმეების ამოღების მოთხოვნით მიმართა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო.

როგორც ,,მედიანიუსს“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეს-მდივანმა ნათია ვასაძემ განუცხადა, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მთავარმა პროკურატურამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ორი მოსამართლის — ბესარიონ ალავიძის და მაია გიგაურის პირადი საქმეების ამოღების მოთხოვნით მიმართა.

,აღნიშნული დოკუმენტაცია პროკურატურას გადაეცა, თუმცა რასთან დაკავშირებით მოხდა დოკუმენტაციის ამოღება, ჩვენთვის უცნობია. აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს,“-აღნიშნა ნათია ვასაძემ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სხდომა ხვალ იმართება.

ცნობისთვის: გავრცელებული ინფორმაციით, ბესარიონ ალავიძის და მაია გიგაურს არ აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება მიღებული და მათ მოსამართლის უფლებამოსილება კანონდარღვევით მიენიჭათ.

**მედიანიუსი**

# ედპ საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით რუსთაველზე აქციას გამართავს

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციასთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიმართვას ავრცელებს. მასში ნათქვამია, რომ 25 თებერვალს უძღოდა 1919 წელს იმჟამინდელი ხელისუფლების სრულიად უგუნური გადაწყვეტილება ნეიტრალიტეტის გამოცხადების შესახებ.

„რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არ არსებობს სასიკეთო თარიღები — არსებობს მხოლოდ სისხლიანი ისტორიები, რომელსაც იყო წლები, როცა ვზეიმობდით კიდეც... 200 წელი ქართველი ერი ხან მტრად აცხადებდა რუსულ იმპერიას, ხან მასში იმედს ხედავდა.

ასე გრძელდება დღესაც...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ყველას მოუწოდებს, შევიკრიბოთ 2013 წლის 25 თებერვალს, 15:00 საათზე, რუსთაველის გამზირზე და ერთხელ და სამუდამოდ ვთქვათ — არა რუსეთს! არა ოკუპაციას!“, — ნათქვამია პარტიის მიმართვაში.

**მედიანიუსი**

## ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი უკანონო სქემაში მონაწილეობას უარყოფს

ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი რიყის ტერიტორიასთან დაკავშირებით რაიმე უკანონო სქემაში მონაწილეობას არ ადასტურებს.

როგორც იაკობაშვილმა ბიზნესმენ ჯოზეფ ქეის მიერ ქალაქ სტამბულში 15 თებერვალს მიცემული ჩვენების კომენტარებისას ტელეკომპანია „იმედისთვის“ საუბარში განაცხადა, მისი მიზანი რიყის განვითარება იყო.

მისივე თქმით, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პრეზიდენტს რამდენჯერმე შეხვდა.

„იყო ლაპარაკი პრეზიდენტთან. იყო პროექტი და მეც შევთავაზე ორი პროექტი. მერე პრეზიდენტმა შემომთავაზა მესამე პროექტი, ძალიან საინტერესო, რომელიც გაკეთებული იყო იაპონელი არქიტექტორის ხელით. მერე დაიწყო კრიზისი, გამოიცვალა მთელი იდეა მთავრობისა და მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჩემთვის ფული დაებრუნებინათ და ბაღი გაეკეთებინათ. ჩემმა დირექტორმა მოაწერა ხელი საბუთებს და დაუბრუნა საბუთები. გამოვედით ამ კომპანიიდან და ფული დაგვიბრუნეს“, – აღნიშნა ბიზნესმენმა იაკობაშვილმა.

შეგახსენებთ, გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქალაქ სტამბულში მოწმის სტატუსით დაკითხული ბიზნესმენის ჯოზეფ ქეის მიერ ტელეკომპანია „იმედის“საქმეზე ჩვენება გაავრცელა, სადაც ქეი ჰყვება, თუ როგორ დაათმობინეს ტელეკომპანია „იმედის „ წილი ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილმა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილმა.

ჩვენების მეორე ნაწილში კი ბიზნესმენი დეტალურად იხსენებს გიგი უგულავასთან შეხვედრას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ტელეკომპანია „ იმედში“ მის მიერ დახარჯულ თანხას 10 მილიონ აშშ დოლარს ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის ფირმიდან „ ახალი რიყე“ გადაურიცხავდა.

**მედიანიუსი**

## დევი სირაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებულ სამივე პირს გირაო შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, დევი სირაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დაკავებულ სამივე პირს აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრს ლადო ვარძელაშვილს, რომელიც იარაღის უკანონო შენახვაშია ბრალდებული, გირაოს სახით 3 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა; იარაღის უკანონოდ გასაღება, ჩუქებაში ბრალდებულ ვახტანგ ბიჭაშვილს – 6 ათასი ლარი, გაუფრთხილებლობით ადამიანის მკვლელობაში ბრალდებულ ზვიად ქავთარაძეს კი 15 ათას ლარიანი გირაოს გადახდა დაეკისრათ.

ბრალდებულებს თანხის გადახდის ვადად 15 დღე განესაზღვრათ და ისინი საპატიმროებს მას შემდეგ დატოვებენ, რაც გირაოს თანხა მთლიანად იქნება დაფარული.

ბრალდების მხარემ ბიჭაშვილთან და ვარძელაშვილთან მიმართებაში გირაოს შეფარდება 7 და 4 ათასი ლარის ოდენობით მოითხოვა, ზვიად ქავთარაძესთან მიმართებაში კი ბრალდება წინასწარ პატიმრობას ითხოვდა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 17 აპრილს, 12:00 საათზე გაიმართება.

ლადო ვარძელაშვილს, ზვიად ქავთარაძეს და ვახტანგ ბიჭაშვილს ბრალი გუშინ წაუყენეს. ვარძელაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით ედება, რომელიც იარაღის უკანონო შენახვას გულისხმობს.

სამართალდამცველებმა სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი და მასთან ერთად ორი პირი – ზვიად ქავთარაძე და ვახტანგ ბიჭაშვილი 22 თებერვალს, ვარძელაშვილის საცხოვრებელ სახლში მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას 45 წლის დევი სირაძე ემსხვერპლა.

**მედიანიუსი**

## ფოთში ავტოავარიას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ფოთში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„მერსედესის“ მარკის ჯიპი, გურიის ქუჩაზე ორ ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. მათგან ერთ-ერთი, შუახნის ქალბატონი ადგილზე დაიღუპა.

ახალგაზრდა მამაკაცი კი ფოთის მეორე კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისათვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ავტომობილის მძღოლი დაკავებულია. მიმდინარეობს ავარიის მიზეზების დადგენა.

**მედიანიუსი**

## დღეს თბილისში მცირე წვიმა და ნისლია მოსალოდნელი

დღეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში წვიმა და ნისლია მოსალოდნელი. როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდი იქნება. დაუბერავს აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. დაბლობში ჰაერის ტემპერატურა 17 გრადუსს მიაღწევს, მთაში 11, ხოლო მაღალ მთაში 5 გრადუსი დაფიქსირდება.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რეგიონებში ხვალ მცირე წვიმა და ნისლია მოსალოდნელი, მთიან რეგიონებში კი მხოლოდ ნისლი. დაბლობში ჰაერი 11 გრადუსამდე გათბება, მთაში 9 გრადუსამდე, მაღალ მთაში კი ჰაერის ტემპერატურა 5 გრადუსს მიაღწევს.

დღეს თბილისში კვლავ მციერ წვიმა და ნისლია ნავარაუდევი. იქროლებს სუსტი ქარი. ჰაერი კი 9 გრადუსამდე გათბება.

**მედიანიუსი**

# მერაბ ტურავა: „პოლიტპატიმრების საქმეები ხელახლაა შესასწავლი“

### ვინ გადახედავს გახმაურებულ საქმეებს

შორენა კოწოწაშვილი

**არის თუ არა სასამართლოს ქმედებაში საბოტაჟის ნიშნები, ემსახურება თუ არა დღეს სასამართლო სააკაშვილსა და მის საპარლამენტო უმცირესობას და ვინ უნდა განიხილოს გახმაურებული საქმეები და ის საქმეები, რომლებზეც უკანონო განაჩენები დადგა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სისხლის სამართლის პროფესორ მერაბ ტურავასთან.**



***— ბატონო მერაბ, ფაქტია, ხელისუფლება სამართლებრივ ფლანგზე სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. სწორი სვლა გაკეთდა ობიექტური მართლმსაჯულების დამკვიდრებისთვის ახალი ხელისუფლების მხრიდან?***

—ახალ ხელისუფლებას მართლაც მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. პირველი: პოლიტპატიმრების საქმეები; მეორე—მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკით დანიშნული მაღალი სასჯელები; მესამე – უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების დიდი რაოდენობა, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციებიც აღიარებენ; წლების მანძილზე ხორციელდებოდა შერჩევითი მართლმსაჯულება. არის ბევრი ე.წ. გაუხსნელი სს საქმე. დღეს არსებობს სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკური ნება და ამას ხალხი ხედავს, მაგრამ ნება ერთია და სამართლიანობის რეალურად აღდგენა – მეორე. რატომ? სამართლიანობის აღდგენა აწყდება პრობლემებს. წლების მანძილზე სამართლის სფეროში მომხდარი დარღვევები ერთი ხელის მოსმით რომ აღმოიფხვრას, ადვილი არ არის. დავიწყოთ უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებებით. ერთი მხრივ, ეს იყო დაკავშირებული თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან; მეორე – იძულებით დადებულ საპროცესო შეთანხმებებთან და ამ გზით ქონების წართმევა. გარდა ამისა, იყო არაერთი შემთხვევა, სისხლის სამართლის დევნა არ განხორციელებულა, მაგრამ სამოქალაქო სამართლებრივად ადამიანებს ქონება წაართვეს. ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, რომელიც დგას ამ ხელისუფლების წინაშე და რასაც საზოგადოება ელოდება, არის ის, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა მოხდეს. ეს არ არის ადვილი და ორ თვეში გასაკეთებელი საქმე. ამ გადაწყვეტილებების უმრავლესობას გავლილი აქვს ყველა სასამართლო ინსტანცია უზენაესი სასამართლოს ჩათვლით. არსებობს კონსტიტუციური პრინციპი, საერთაშორისო სამართლებრივად აღიარებული პრინციპი, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ საჩივრდება ანუ გადასინჯვას არ ექვემდებარება, როცა ის კანონიერ ძალაშია და უნდა აღსრულდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, არის პრობლება: სახელმწიფოს უნდა მოეძებნა ისეთი მექანიზმები, რომლითაც ამ განაჩენების გადასინჯვას შეძლებდა. ამიტომაც იუსტიციის სამინისტრომ შეძლო ისეთი მოდელის გამოძებნა, რომელიც სასამართლო განაჩენების გადასინჯვის შესაძლებლობას იძლევა.

***— თუმცა უკანონო განაჩენების ავტორი მოსამართლეები დღეს ისევ იხილავენ გახმაურებულ საქმეებს და სააკაშვილის უმცირესობას ისევ უსიტყვოდ ემონებიან.***

—ძალიან საინტერესო საკითხია. უკანონო განაჩენები რომ გადაიხედოს, პრობლემას ისევ სასამართლოს მხრიდან ვაწყდებით. მე ვარ იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი მართლმსაჯულების სფეროში, რომელიც რეფორმებს ახორციელებს. ვიტყვი, ამ მხრივ რა პროცედურებია გათვალისწინებული და იმ პრობლემაზე როგორ უნდა იქნეს პასუხი გაცემული, რაც თქვენ დააყენეთ. პირველი, ხელისუფლების სურვილია და კანონპროექტიც არსებობს, რომ შეიქმნას მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისია. ეს არ იქნება იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კომისია ან აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე ორგანოსთან. ეს იქნება პარლამენტის მიერ შექმნილი სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შემადგენლობაში პარლამენტი აირჩევს სამართლის აღიარებულ 15 სპეციალისტს, რომლებიც არ იქნებიან მოქმედი მოსამართლეები. ამ ადამიანებს ექნებათ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი და კვალიფიკაცია. ამ კომისიისთვის მიმართვის შესაძლებლობა დღეს არსებული კანონპროექტით ექნება ყველა იმ ადამიანს, რომელიც ფიქრობს, რომ დაზარალებულია და მის მიმართ გამოტანილია უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი. კომისია შეისწავლის საქმის მასალებს, დაწერს დასკვნას, მაგრამ ეს დასკვნა, როგორც ზოგიერთი ოპონენტი ამბობს, რომლებსაც სურთ, ამ კომისიის არსებობა კონსტიტუციურად და სამართლებრივად ეჭვქვეშ დააყენონ, ამ ოპონენტების აზრით, ამ კომისიის დასკვნა არავითარ ცვლილებას არ შეიტანს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში. კომისია აღმოაჩენს დარღვევას, რომელიც ამა თუ იმ საქმეში გამოკვეთს იმ არგუმენტებს, რომლებიც პირის უდანაშაულობაზე მეტყველებს. სადაც კომისია დაწერს დასკვნას, რომ პირი უდანაშაულოა, ეს დასკვნა შემდეგ გადაეცემა სასამართლოს, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ დასკვნის საფუძველზე ადრე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. ახლა მივადექით იმ კითხვას, რომელიც თქვენ დასვით. თუ ობიექტურმა კომისიამ დაწერა დასკვნა და, თუ ეს დასკვნა ისევ იმ მოსამართლეებს გადაეცემათ, რომლებმაც უკვე მიიღეს ამ საქმეზე უკანონო გადაწყვეტილებები, მათი მხრიდან ამ საქმეების გადასინჯვა, ბუნებრივია, არაეფექტიანი იქნება. ამ პრობლემის გადასაჭრელად იუსტიციის სამინისტრო ფიქრობს, ასე იმოქმედოს: უზენაეს სასამართლოსთან შექმნას სპეციალური პალატა, რომელიც იქნება მართლმსაჯულების ხარვეზის დამდგენი პალატა. ამ პალატაში არჩეული იქნებიან პარლამენტის მიერ მოსამართლეები, რომლებსაც უშუალოდ არა აქვთ ეს საქმეები განხილული და დღეს უზენაეს სასამართლოში არ ეწევიან სამოსამართლეო საქმიანობას. ესენი იქნებიან ახალი მოსამართლეები, რომლებიც იქნებიან უფლებამოსილი, მოახდინონ ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე იმ განაჩენების გადასინჯვა, რომლებიც ეჭვქვეშ დადგა. ვფიქრობ, ეს არის ერთადერთი სწორი გზა. თუ ისევ იგივე მოსამართლეები გადახედავენ ამ საქმეებს, რომლებმაც წლების წინ ეს განაჩენები დადგინეს, მაშინ რა აზრი ექნება გადასინჯვას? ვფიქრობ, სწორია, როცა ახალი პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება იყოს კომისიის დასკვნის დადასტურება, თუმცა, გამორიცხული არ არის, კომისიის ზოგიერთი დასკვნა არ დადასტურდეს. საბოლოო ჯამში, მაინც სასამართლოს ახლად შექმნილი პალატა იქნება ის სასამართლო ორგანო, რომელიც სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ განაჩენში შეიტანს ცვლილებას. ამით ხელშეუხებელი რჩება ის კონსტიტუციური ნორმა, რომელიც გვეუბნება, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვა აღარ შეიძლება.

***— რას დაარქმევდით, ორხელისუფლებიანობის პრობლემას თუ საბოტაჟის ნიშნებს იმ ტენდენციას, რომელიც პროკურატურისა და სასამართლოს მოქმედებით გამოიხატება: ფაქტობრივად, არც ერთ მაღალჩინოსანს არ შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.***

— სასამართლოს ეს ნაბიჯები ადასტურებს, რომ საქართველოში ხელისუფლების შტოებს შორის არის ომი. გარედან მაყურებელი თვალით ასე ჩანს. სასამართლო ხელისუფლება აქტიურად არის ჩართული ხელისუფლების შტოებს შორის ბრძოლაში და ის არბიტრის როლში არ არის. ვერც ერთი ობიექტური დამკვირვებელი და ვერც საპარლამენტო უმცირესობა ვერ ამბობს, რომ დღეს სასამართლოზე პროკურატურის მხრიდან რაიმე ფორმით ხორციელდება ზეწოლა. დღევანდელ ხელისუფლებას, პროკურატურას ბერკეტები არ აქვს, არც პოლიტიკური ნებაა, რომ სასამართლო იყოს მისი ყურმოჭრილი მონა.

***—ამან გაათამამა ნაციონალები? ჩვენ მათი მხრიდან სა?მაოდ დამცინავ განცხადებებს ვისმენთ.***

— ასე მგონია, საპარლამენტო უმცირესობა ბოროტად იყენებს იმ კავშირებს, რომელიც სასამართლო ხელისუფლებასთან აქვთ. მოგეხსენებათ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი არის ნაცმოძრაობის მხარდამჭერი. მისი ძმა, პავლე კუბლაშვილი, იუსტიციის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და დეპუტატია. წინა ხელისუფლების დროს კი ის იყო იუსტიციის საბჭოს წევრი, როცა ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ სასამართლო ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ და აშკარა ზეწოლაზე საუბრობდნენ, მაშინ კოტე კუბლაშვილს არავითარი პროტესტი არ გამოუხატავს მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე. ის ამას მშვიდად ეგუებოდა, მაგრამ, როგორც კი პოლიტიკური ხელისუფლება შეიცვალა და ერთი შემთხვევა გამოვლინდა იმისა, რომ მოსამართლის თანაშემწესთან რომელიღაც საჯარო მოხელემ კავშირის დამყარება გადაწყვიტა თანამშრომლობის მიზნით, ეს მოქმედება კუბლაშვილის მხრიდან გახდა აჟიოტაჟისა და განგაშის საფუძველი. არადა, ჩვენ გვახსოვს, რომ წინა ხელისუფლების დრო კუდის თანამშრომლებმა იარაღი ჩაუდეს ერთ– ერთ მოსამართლეს და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვდნენ. მაშინ კუბლაშვილს ამ ფაქტზე არავითარი პროტესტი არ გამოუხატავს.

***— იმავე პოლიტპატიმრების საქმეებმა დაადასტურა, რომ კონკრეტულმა მოსამართლეებმა კანონი დაარღვიეს. მათ წინააღმდეგ იუსტიციის საბჭოს დისციპლინური დევნა არ უნდა დაეწყო?***

— კი ბატონო. იუსტიციის საბჭო წინა ხელისუფლების გავლენის ქვეშ რომ არ იყოს, ის აუცილებლად შეისწავლიდა, რომელმა მოსამართლეებმა გამოიტანეს იმ ადამიანების განაჩენი, რომლების პოლიტიკურ პატიმრებად იქნენ გამოცხადებული. პირველი იუსტიციის საბჭო იქნებოდა ის ორგანო, რომელიც ამ საკითხზე რეაგირებას მოახდენდა. მაგრამ იუსტიციის საბჭო, რომელიც არის სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო, დღეს მოსამართლეების უფლებების დამცველი და მათ დარღვევებზე რეაგირების მომხდენი ორგანო კი არ არის, არამედ ეს არის პოლიტიკური ინსტრუმენტი იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც არ შეასრულებდნენ წინა ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას. იუსტიციის საბჭოს 15 წევრიდან 9 სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელია – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პალატების ხელმძღვანელები. მართალია, იუსტიციის საბჭო საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ადამიანები ადმინისტრაციული ფუნქციით აღჭურვილნი არიან და კუბლაშვილის მიერ ხელდასხმულები. ეს არის აბსოლუტურად არადემოკრატიული. ამიტომ პარლამენტში შევიდა იუსტიციის საბჭოს რეფორმის ახალი მოდელი, სადაც 15-დან 9 მოსამართლე წევრს დაასახელებენ პირდაპირ მოსამართლეები, თანაც ამ წევრებს ისინი ფარული კენჭისყრით აირჩევენ. ამავე დროს, ამ მოსამართლეებს არ ექნებათ სასამართლოებში ადმინისტრაციული თანამდებობები. ეს აშკარად დემოკრატიული ნაბიჯია. ეს საზოგადოებისთვის მისაღებია, რადგან იუსტიციის საბჭო უნდა იყოს არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების ინტერესების გამტარებელი, არამედ მოსამართლეების ინტერესების დამცველი ორგანო.

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა ავირჩიოთ“

ნათია ხურცილავა



### ინტერვიუ კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილთან

*— ბატონო ავთანდილ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება, რომელიც კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე იმუშავებს. როგორ ფიქრობთ, რა მიმართულებით მოუწევს ახალ ჯგუფს მუშაობა? რა ცვლილებები უნდა შევიდეს?*

— დღეს არსებული კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, დეფორმირებული, შერეული მმართველობის ფორმაა. ეს არის სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელშიც ერთ-ერთ განშტოებას, პრეზიდენტის შტოს, ძალზე დიდი, დახუნძლული უფლებამოსილებები გააჩნია. ეს დახუნძლული უფლებამოსილებები კი ავტორიტარული რეჟიმის საფუძველია. კონსტიტუციის ეს ტექსტი, რომელიც იძლევა ამის საფუძველს, შეცვლილია 2009-2010 წლის კონსტიტუციის რეფორმის დროს. კონსტიტუციის ის ტექსტიც, რომელიც უნდა ამოქმედდეს პრეზიდენტის არჩევის, ინაუგურაციის შემდეგ, რასაკვირველია, არ არის სრულყოფილი. კონსტიტუციის ეს ტექსტიც საჭიროებს გარკვეული ცვლილებების შეტანას, მაგრამ აბსოლუტურად სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ იმ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია დღეს მოქმედ კონსტიტუციასთან, ხსნის. ამდენად, პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება, მის მიერ შერჩეული მთავრობა პარლამენტის თანხლების გარეშე დანიშნოს. პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილებაც შეზღუდული ექნება და ა.შ. ეს არის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც კონსტიტუციის ირგვლივ გვაქვს მოქმედ და ასამოქმედებელ ნორმებთან დაკავშირებით.

*— როგორ უნდა ამოქმედდეს კონსტიტუციის ეს ვარიანტი?*

— მე ვფიქრობ, უკვე პოლიტიკური შეთანხმება მიღწეულია, რომ სიტუაციის განმუხტვის, დარეგულირების მიზნით შესაძლებელია ამოქმედდეს იმ ნორმათა ნაწილი, რომელიც 2013 წლის ნოემბერში უნდა ამოქმედდეს. ყველა ნორმაზე არ არის საუბარი, საუბარია მხოლოდ ნაწილზე. კონსტიტუციური კანონიდან 23 მუხლია. ამას ემატება ქუთაისში პარლამენტის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ასევე ამას ემატება პარლამენტის კვორუმის საკითხი, საუბარია სამ მეოთხედზე, რომელიც საჭიროა კონსტიტუციის გადასინჯვისთვის, რაც პრობლემაა. გარკვეული ნორმების ამოქმედებაზე უკვე პოლიტიკური შეთანხმება არსებობს, მაგრამ ამ ნორმების ამოქმედებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მწვავე პრობლემა არსებობს.

*— კონკრეტულად?*

— ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოყენებულ რამდენიმე წინადადებას. პირველი, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების დაფიქსირება, მეორე, ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანის საკითხი, ეს უკვე პოლიტიკური საკითხია და ნაკლებად კონსტიტუციური. ეს არის ამნისტიის საკითხი სახელმწიფო მოხელეების მიმართ.

*— როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, უმცირესობამ თითქმის ყველა მოთხოვნა უკან წაიღო, უფრო ზუსტად კი, შეთანხმება მიღწეულია, გარდა ამნისტიის საკითხისა. როგორც ცნობილია, ტერმინ „ამნისტიას“ ისინი აპროტესტებენ და პოლიტიკური დევნის შეჩერებაზე აკეთებენ აქცენტს. მართალია, პოლიტიკური ჩანართია, მაგრამ რას იტყვით, როგორ უნდა განვითარდეს ამ მხრივ მოვლენები?*

— ეს საკითხი უშუალოდ კონსტიტუციონალიზმთან კავშირში არ არის, მაგრამ, თუ გვინდა, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრება დარეგულირდეს, გარკვეულ კომპრომისზე ორივე მხარე უნდა წავიდეს.

*— კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ქვეყნის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პოზიციებია. მმართველობის როგორი მოდელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის უპრიანი. სუპერსაპრეზიდენტო მოდელი ვნახეთ, საპარლამენტო თუ შერეული?*

— მმართველობის მოდელთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია, 1993 წლიდან მოყოლებული, არ შეცვლილა. მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მხოლოდ შერეული მმართველობის ფორმის მომხრე. ეს იდეა 1993 წელსაც გავატარე. 1995 წელს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც პარლამენტში შევიდა, შერეული მმართველობის მოდელი იყო. იგივე იდეა გავატარე ცხოვრებაში 2009-2010 წლის რეფორმის დროს. დღესაც იმ პოზიციაზე ვარ, რომ საქართველოსთვის სხვა მოდელი მიუღებელია. საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი საქართველოსთვის ნაკლებად მოსარგები იქნება.

*— რატომ? რა არგუმენტები გაქვთ?*

— საპრეზიდენტო ამერიკული მოდელი არსად მსოფლიოში, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რეალურად არ მოქმედებს. ვერ ამოქმედდა. რაც შეეხება შერეულ მოდელს, შერეული მმართველობის ფორმა საკმაოდ გავრცელებულია არა მხოლოდ საფრანგეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში და ა.შ. შერეული მმართველობის მოდელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებმაც აირჩიეს, რომელიც, მაგალითად, რუსეთში, უკრაინაში, სხვაგანაც გადაიზარდა სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში. საქართველოსთვის, ვფიქრობ, მორგებული იქნება და ეფექტიანად იმუშავებს ის მოდელი, რომელიც 2009-2010 წელს შემუშავდა, მაგრამ ამ ვარიანტშიც არის გარკვეული ცვლილებები შესატანი, რაც მე ვერ შევძელი.

*— ბატონო ავთანდილ, რადგან კომისიაში უმრავლესობით ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება?*

— დიახ, რა თქმა უნდა. იმ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მე უმრავლესობა არ მყავდა და, შესაბამისად, ვერანაირ გადაწყვეტილებას მე, პირადად, ვერ ვიღებდი. ცხადია, საჭიროა კორექტივების შეტანა.

*— რა მიმართულებით?*

— უნდა დარჩეს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა. ვიმეორებ, ეს მოთხოვნა კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა დარჩეს. პრეზიდენტი უმაღლესი წარმომადგენელი უნდა იყოს საგარეო ურთიერთობებში. ამას ვერ მივაღწიე მაშინ. პრეზიდენტის დანარჩენი უფლებამოსილებები შეზღუდული უნდა იყოს. განსაკუთრებით დისტანცირება აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, რაც უკვე განხორციელდა კიდეც 2009-2010 წლის რეფორმის დროს. ასევე უნდა გაიზარდოს პარლამენტის, როგორც მაკონტროლებლის უფლებამოსილებები. ამ ცვლილების გარდა, საჭირო არაფერია და ის მოდელიც ნორმალურად იფუნქციონირებს, რაც დადასტურდა იმით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მხარი დაუჭირა ამ ნორმების ახლავე ამოქმედებას.

*— გამოდის, კონსტიტუციის დიდი ჭრა-კერვა არ დასჭირდება ახალ კომისიას.*

— მე ვფიქრობ, დიდი ჭრა ანუ არსებითი გადასინჯვა საჭირო არ არის, მაგრამ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა თქვა, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს და შემდეგ ახალ კონსტიტუციაზე დაიწყებს მუშაობას.

*— პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების საკითხს დავუბრუნდეთ.*

— ამის არგუმენტები მაქვს. პრეზიდენტი, როგორც არბიტრი, შტოებს შორის დაბალანსების ერთ-ერთი გარანტი, ასე გამოდის. თურქეთი გადადის პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევაზე, ჩეხეთი, სლოვაკეთი უკვე გადავიდა. იტალიაშიც არის ასეთი მოძრაობები. საქართველოში პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევა უფრო საჭიროა, რადგან, თუ წარმოვიდგენთ, რომ პრეზიდენტი პარლამენტის მიერ იქნება არჩეული, ის აუცილებლად „ქართული ოცნების“ კანდიდატი იქნება. თუ პირდაპირი წესით იქნება არჩეული, ალბათ, ისევ „ქართული ოცნების“ კანდიდატი იქნება, მაგრამ ის მაინც თავისებურად დამოუკიდებელი იქნება, რადგან პირდაპირი წესით, ხალხის მიერ იქნება არჩეული.

## ირაკლი ალასანია ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით დღეს თსუ-ს ეწვევა



თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით დღეს თსუ-ს ეწვევა.

ალასანია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თსუ-ის სტუდენტებსა და თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტებს შეხვდება. შეხვედრაში თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც მიიღებს მონაწილეობას.

თავდაცვის მინისტრი საქართველოს დამოუკიდებლობაზე, 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში ქართველი იუნკრების ერთკვირიან თავდადებულ ბრძოლაზე ისაუბრებს.

ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით თსუ-ის მუზეუმი ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის ამსახველ ფოტომასალას, უნივერსიტეტის რეპრესირებული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ფოტოებს გამოფენს. მნახველს საშუალება ექნება, გაეცნოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვას, რომლითაც მან 1921 წლის 23 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ სტუდენტობას მიმართა.

„შვილებო, ჩემი მოვალეობაა, მე თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ“, — მიმართა მაშინ ჯავახიშვილმა სტუდენტებს.

თსუ-ის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში, ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილ გამოფენასთან ერთად, პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის წიგნის „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“ პრეზენტაცია გაიმართება.

პირველი

## ვანო ჩხარტიშვილი საქართველოში დაბრუნდა

ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი საქართველოში დაბრუნდა. მას თბილისის აეროპორტში ოჯახის წევრები და ახლობლები დახვდნენ.

„ძალიან მიხარია, რომ აქ ვარ და მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის მშენებლობაში“, — განაცხადა ჩხარტიშვილმა. პირველი

# ნაგავსაყრელის ტოქსიკური ეფექტი — ნარჩენების მთები თელავში

**თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, მდინარე თურდოს ნაპირზე, ნაგვის მთები დგას. ნარჩენები დაახლოებით 3 კილომეტრზეა გაშლილი და თითქმის ყოველდღიურად წვავენ. ეკოლოგების განცხადებით, ორგანული ნარჩენების წვის შედეგად გამოიყოფა მეთანი და სხვა ნივთიერებები, რომლებიც დაავადებების გავრცელებას იწვევს.**



ზოგიერთ ადგილზე მთების სიმაღლე 5-6 მეტრს აღემატება. ნაგავი მდინარე თურდოშიც იყრება, იქიდან კი წყალს ალაზანში ჩააქვს. ნაგავსაყრელის გვერდით მდებარე სოფელ გულგულაში გავრცელებულია სიმსივნური დაავადებები.

ადგილობრივი სამედიცინო ცენტრიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით, სოფელ გულგულადან, სადაც 1200-მდე ადამიანი ცხოვრობს, სიმსივნე 50-მდე ადამიანს აღმოაჩნდა. სოფელში ყველაზე მეტი ფილტვის კიბოა გავრცელებული.

„როცა ნაგავი იწვება, ისეთი მძიმე ჰაერია, სუნთქვა გვიჭირს, თითქოს საწამლავი გაუშვესო. მაგას რომ ბავშვი შეისუნთქავს, იმას რა მოუვა?“ — ამბობს სოფელ გულგულაში მცხოვრები ნანა სილაგაძე.

„წელიწადის ყველა დროს საშინელი სუნია, მაგრამ განსაკუთრებით ზაფხულში. როცა ნაგავს ცეცხლს უკიდებენ, აქ ყოფნა ძალიან რთულია. ცეცხლი შეიძლება ყოველდღე წაუკიდონ. წლებია ასეთი ამბავია. საქონელიც მოკვდა, მაგრამ კლავენ და ბოინში აბარებენ ხოლმე. ნაგავსაყრელზე ბანკებს, ბოთლებს აგროვებენ, მერე ყიდიან... არჩევნებამდე მოდიან ხოლმე ხელისუფლების წარმომადგენლები, გვპირდებიან, რომ მოაგვარებენ ამ პრობლემას, მაგრამ არჩევნების მერე არავის ვახსოვართ“, -აღნიშნა გულგულაში მცხოვრებმა თინათინ ოხანაშვილმა.

მდინარე თურდოს ნაპირზე განთავსებული ნაგავსაყრელი პრობლემებს სოფელ ყარაჯალას მაცხოვრებლებსაც უქმნის. „აქედან 1 კილომეტრზე იყრება ნაგავი, იქიდან ბუზი, სუნი, კვამლი სულ ყარაჯალაში შემოდის ქარი რომ დაუბერავს, მაგრამ პატრონი არა ჰყავს. პირდაპირ მოაქვთ და აქ ყრიან. სახლში პური ველარ გვიჭამია, ისეთი ამბავია“, — ამბობს ყარაჯალის მკვიდრი თემო ისლამოვი.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, იცხოვროს ეკოლოგიურად სუფთა, მისი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში, თუმცა რეგიონებში თითქმის არცერთი ნაგავსაყრელი არ არის მოწყობილი გარემოს დაცვითი პრინციპების გათვალისწინებით.

ნარჩენები პირდაპირ იყრება ამისათვის გამოყოფილ ადგილებში, დაშრევებისა და საიზოლაციო ფენით გადაფარვის გარეშე. არ არის უზრუნველყოფილი ნაგავსაყრელის ფსკერის გამართულობა. არ არსებობს სადრენაჟო სისტემა, რის გამოც წვიმის ნაწრეტი წყალი ნარჩენების ფენების გავლის შემდეგ, მიწისქვეშა წყლებისა და მიწის დაბინძურებას იწვევს. სოფელ ვარდისუბანში ნაგავსაყრელი დასაშვებზე ახლოს მდებარეობს საცხოვრებელი პუნქტებიდან, მდინარიდან.

ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი ამბობს, რომ განსაკუთრებით საშიშია პოლიმერული ნარჩენების წვის პროდუქტები. საუბარია პლასტმასზე, პლასტმასის ბოთლებზე, პოლიეთილენის პარკებზე.

„მეთანმა და სხვა ნივთიერებებმა, რომლებიც წვის შედეგად გამოიყოფა, შეიძლება მოკლას ადამიანი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ძალიან ბევრი დაავადება, მაგალითად, სისხლის დაავადებები“, — აღნიშნავს ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში ნინო ჩხობაძე.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ალექსი თეგერაშვილი კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ადასტურებს, რომ ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევა არ განხორციელებულა გარემოზე მიყენებული ზიანის რისკის გათვალისწინებით.

„გეთანხმებით, ძალიან საშინელი მდომარეობაა ნაგავსაყრელზე. ამორტიზებულია, გადავსებულია და ან უნდა გადამუშავდეს ნარჩენები, ან ახალი ნაგასაყრელი უნდა გაკეთდეს, მაგრამ მუნიციპალიტეტს ამის თანხები არ აქვს. თან ნაგავსაყრელების ოპერირება და მოწესრიგება რეგიონული განვითარების სამინისტროს დაევალა. სანამ ჩვენ გვევალებოდა ამ პრობლემის მოგვარება, ყველასთან დავაყენეთ ეს საკითხი, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან, მაგრამ ვერ მოვახერხეთ თანხების მოძიება“, — აცხადებს გამგებლის მოადგილე.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავრობა, უცხოელი დონორების დახმარებით ნაგავსაყრელების სახელმწიფო გენერალურ გეგმას ამუშავებს. ევროკავშირის დაფინანსებით, გარემოს დაცვის სამინისტრო ამ სფეროში ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრაზე მუშაობს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო კი შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებასა და ნაგავსაყრელების მართვაზე იქნება პასუხისმგებელი. გეგმის თანახმად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელები საქართველოში 2014 წლიდან უნდა ამოქმედდეს და ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა მოხდეს. გეგმა 20 წელზეა გათვლილი.

**ნათია დანელიშვილი**
**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „ნაგვის მდინარე“ დუშეთში — ექსპერტის შეფასებით, მდგომარეობა საგანგაშოა

დუშეთის ხევში, რომელიც დასახლებული პუნქტიდან სულ რაღაც 2 კილომეტრით არის დაშორებული, ნარჩენები 6 კილომეტრზეა გაშლილი. წლების განმავლობაში დაგროვილი ნარჩენების სიმაღლე ზოგიერთ ადგილზე უკვე 20 მეტრს აღწევს. დუშეთის ხევი მდინარე არაგვს უერთდება, არაგვიდან წყალი ბოდორნის წყალსაცავში ჩაედინება. ბოდორნის წყალსაცავიდან სასმელი წყლით თბილისის მოსახლეობა მარაგდება.

დუშეთის ხევში ნარჩენებს 1980 წლიდან ყრიან. „ნაგავსაყრელზე საქონელი დადის, ხან ცელოფანს ჭამენ და ხან რას. უკვე იმდენს მოუკვდა უბანში საქონელი... ძროხას რომ კლავენ, ცელოფნებს პოულობენ, ხორცის მანქანის დანებსაც... 4 წლის წინ, როცა არჩევნები იყო და კობა ბადაგაძე იყრიდა კენჭს დეპუტატად, თითქოს უნდა დაეწყოთ ნაგვის გადამუშავება, მაგრამ დეპუტატად რომ დაინიშნა, არავის აღარ მიუხედავს ნაგავსაყრელისთვის. გასულ წელს, შემოდგომაზე ცეცხლი წაუკიდეს და ქვევით არაფერი აღარ ჩანდა ისეთი კვამლი იყო. იწამლებოდა ჰაერი და ხალხი ჩიოდა, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია“ — განუცხადა მცხეთა — მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს დუშეთში მცხოვრებმა რაისა ბადაგაძემ.

დუშეთის მაცხოვრებლების თქმით, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები ნარჩენებს უკვე ცენტრალური გზის პირზე ყრიან. „ამას ორი მიზეზი აქვს. ხევში ადგილი აღარ არის და ბევრ შემთხვევაში, მძღოლებს ქვემოთ ჩასვლა ეზარებათ და ნაგავს გზის პირზე ყრიან“, — ამბობს დუშელი თინა ავლახაშვილი.

დუშეთის რაიონის დასუფთავებაზე გამოცხადებულ ტენდერში უკვე სამი წელია შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ იმარჯვებს. დასუფთავების სამსახურში აცხადებენ, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენები მიწაში უნდა იმარხებოდეს, მაგრამ ტენდერის პირობების თანახმად, მათ სამსახურს ეს არ ევალება.

„მთელი რაიონის ნაგავი დუშეთის ხევში იყრება, ფასანაურიდან, მლეთიდან. კომუნისტების დროიდან ამ ადგილზე იყრება ნაგავი. ეს ნაგავსაყრელი საფრთხეს ნამდვილად ქმნის და წესით არ უნდა იყოს იქ, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს? ნაგავი უნდა იმარხებოდეს, იტკეპნებოდეს, მაგრამ არ არის ამის საშუალება. 1984 წლიდან არის საუბარი სხვა ადგილის გამოყოფაზე, მაგრამ ადგილი ვერ შეირჩა. გზის პირას იმიტომ იყრება ნაგავი, რომ მანქანები ზოგიერთ შემთხვევაში ქვემოთ ველარ ჩადიან“ — განუცხადა მცხეთა — მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ თანამშრომელმა ლია ნარიმანიძემ.

დასუფთავების სამსახურში აღნიშნეს, რომ ყოველწლიურად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა არასაკმარისია. „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურმა“ 2012 წელს, მუნიციპალიტეტის დასუფთავებისთვის ბიუჯეტიდან 162 200 ლარი, 2011 წელს კი 182 000 ლარი მიიღო. მუნიციპალიტეტის გამგეობას, 2013 წელს, დასუფთავებაზე ტენდერი ჯერ არ გამოუცხადებია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარის, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის ნინო ჩხობაძის განცხადებით, დუშეთის ნაგავსაყრელი სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

„არ შეიძლება ასე ღიად, ასეთ ადგილზე იყო ნაგავსაყრელი. გარემოს აბინძურებს, ნაგავი ხევში ჩადის პირდაპირ. ზაფხულში, ნაგავი შესაძლოა ჩახურდეს და ამან ნაგავსაყრელის აალება გამოიწვიოს. ამ დროს ჰაერში ისეთი აირები იფრქვევა, რომლებიც კიბოს და ალერგიული დაავადებების გავრცელებას იწვევს. საფრთხის მატარებელია ის ნაჟური წყლებიც, რომელიც გამოდის და ეს არის ტოქსიკური მასალა. ყველა ნაგავსაყრელს უნდა ჰქონდეს შემკრები არხი. გარდა ამისა, როცა ნაგავსაყრელი 20 მეტრზე ზემოთ არის, ხდება მეთანის გაფრქვევა ჰაერში. ყველანაირად საშიშია. დუშეთში ნაგავი იმხელა ტერიტორიაზეა გაშლილი, რომ ნებისმიერ დროს, შეიძლება რაღაც ცუდი მოხდეს“, — აცხადებს ნინო ჩხობაძე.

მისი თქმით, პრობლემის მოსაგვარებლად საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება და მათი დამუშავება, ან დასაწყობება უნდა მოხდეს.

„ვერ დავიჯერებ, რომ დუშეთის დასუფთავების სამსახურს ყველა სოფლიდან გამოაქვს ნაგავი, რადგან სოფლებში ხევები სავსეა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. პრობლემის მოსაგვარებლად პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს ნაგვის შეგროვების სისტემა. უნდა მოხდეს იმ ნაგვის სეპარირება, რომლის გადამუშავებაც შესაძლებელია. ის ნარჩენები კი, რომელიც ვერ გადამუშავდება, ცალკე უნდა დასაწყობდეს და იზოლირებული უნდა იყოს საქონლისგან, მითუმეტეს არ უნდა მოხვდეს ხევებში,“ — აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის რეზო ყარმაზანაშვილის განცხადებით, ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

„ნაგავსაყრელის პრობლემის მოსაგვარებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან ველოდებით თანხების გადმორიცხვას. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დაახლოებით თვენახევარში გვეცოდინება ზუსტი პასუხი. სავარაუდო თანხას ვერ დავასახელებ, მაგრამ ფული თუ ჩაგვერიცხა, ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანას დავამონტჟებთ ან ნაგავსაყრელს სხვა ადგილზე გადავიტანთ“, — განაცხადა რეზო ყარმაზანაშვილმა.

რაც შეეხება დუშეთის ხევიდან ნარჩენების და ნაჟური წყლების არაგვში ჩადინებას, საიდანაც სასმელი წყლით თბილისი მარაგდება, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, აცხადებენ, რომ თბილისში ონკანის წყლის მოხმარება სრულიად უსაფრთხოა და წყალი მთლიანად აკმაყოფილებს როგორც ეროვნულ სტანდარტებს, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

შეგახსენებთ, დაბა ჟინვალის საკანალიზაციო სისტემიდან ფეკალური მასებიც მდინარე არაგვში ჩადის. დუშეთის კანალიზაციაც მდინარე არაგვს უერთდება. ეპიდემიოლოგების თქმით, ფეკალური მასებით დაბინძურებული წყლის გაფილტვრის შემდგომი მიღების შემთხვევაშიც კი, მოსახლეობაში ნაწლავური ინფექციების, სალმონელოზის და მუცლის ტიფის გავრცელების რისკი საკმაოდ მაღალია.

**ნათია დანელიშვილი**

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# განვითარდება თუ არა საქართველოში მებოსტნეობა

**როლანდ ხოჯანაშვილი**

**„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო**

სრულყოფილი ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად ბევრი საკითხი უნდა მოაგვაროს ფერმერმა. ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ქართულ ტრადიციულ ფერმერულ მეურნეობას ახასიათებს, ეს არის სოფლის მეურნეობის ექსტენსიური ფორმა. დანაწევრებული ნაკვეთები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის უქონლობა, შხამ-ქიმიკატების დაბალი ხარისხი და პროდუქციის საბაზრო კონკურენციის უუნარობა ქართული აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებიც აღმოფხვრას სასწრაფოდ მოითხოვს.

ბოსტნეულის, ხილის, ხორცისა და რძის პროდუქტების შემოტანა საქართველოში ნიშნავს იმას, რომ ქართული აგროსფერო არის მნიშვნელოვან კრიზისში. თვით ფინეთიც კი, რომლის ტერიტორიის ძალიან დიდი ნაწილი გაყინული ან დაჭაობებულია, რძისა და ხორცის პროდუქტების ერთ-ერთი ძლიერი იმპორტიორია, ხოლო ისლანდია კი, რომლის ლანდშაფტებში ძირითადად დომინირებს ქვები და ყინული, სასათბურე პირობებში ბანანიც კი მოჰყავთ.

ძალიან კარგად ვიცით, რომ კარტოფილი თავისი საგემოვნო თვისებებით და შემადგენლობით პურს უტოლდება და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მისი მოყვანა შესაძლებელია. კარტოფილის საუკეთესო მოსავლის მისაღებად საჭიროა გრილი კლიმატი, რაც საქართველოს მთიან რეგიონებს ახასიათებს (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი) და ასევე დაბალ ზონაში კი შესაძლებელია საადრეო ჯიშების მოყვანა (ქვემო ქართლი, კახეთი). მიუხედავად ასეთი აგროკლიმატური პირობებისა, საქართველოში შემოდის საკვებად ვარგისი (ზოგჯერ უვარგისიც) ეგვიპტიდან, გერმანიიდან, ირანიდან, ნიდერლანდებიდან, პაკისტანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან. მოსახლეობის რაოდენობით ამ ქვეყნებიდან მხოლოდ სომხეთს ჰყავს ნაკლები რაოდენობის მცხოვრები, სხვა დანარჩენს ბევრად მეტი, მაგრამ ეს ქვეყნები ახერხებენ იმპორტირებას და თუ სათანადო პირობებში მოექცევა ქართველი ფერმერი, ნუთუ ვერ მოახერხებს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას?!

2010 წელს საქართველოში 228 ათასი ტონა კარტოფილი იქნა მოწეული, 2009 წელს – 217 ათასი ტონა, ხოლო 2008 წელს კი მხოლოდ – 165 ათასი ტონა. ანუ კარტოფილის მოსავლიანობაში აშკარად პროგრესია, მაგრამ არასაკმარისი. 2011 წელს საქართველოში შემოიტანეს დაახლოებით 14 მილიონი ლარის ღირებულების კარტოფილი, რაც ბუნებრივია, ვალუტის მნიშვნელოვანი გადინებაა ისეთი სახელმწიფოდან, როგორიც საქართველოა და ეკონომიკაზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს.

არა მარტო ტექნიკური მხარეა ქვეყანაში მოსაწესრიგებელი, არამედ ქართველ ფერმერს ხელი არ მიუწვდება ელიტარულ საჯიშე მასალაზე, რომელიც საკმაოდ ძვირია (კილოგრამი 3 ლარამდე ღირებულებისაა, ხოლო ჰექტარზე 1 ტონამდე სათესლე კარტოფილია საჭირო). სამწუხარო რეალობაა, რომ ეს მხოლოდ კარტოფილს არ შეეხება. ისეთი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყანას, როგორიც საქართველოა, თავად შეუძლია აწარმოოს ელიტური სათესლე მასალა იმპორტისთვისაც კი.



ქართველი ღარიბი ფერმერი ძვირი სათესლე მასალის ყიდვისაგან თავს იკავებს და ბაზარზე ყიდულობს იაფ თესლს, ან კიდევ კმაყოფილდება საკუთარ მამულში მიღებული დაბალი წარმადობის პროდუქციით.

რაც შეეხება მებოსტნეობას, ის ძირითადად დიდი ქალაქების ახლოს ვითარდება. ქუთაისისა და თბილისის შემოგარენში მოსახლეობა მემწვანილეობით ასე თუ ისე ირჩენს თავს. ქართული ბოსტნეული კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთულს, მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანა საკმაოდ შეზღუდულია არა საგემოვნო თვისებების გამო, არამედ იმიტომ, რომ არ არსებობს სათანადო ტექნოლოგიის დაცვა და შეფუთვა, რომელიც სტანდარტულად მოთხოვნადია მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოში ძირითადად ადგილობრივი და შემოტანილი ჰიბრიდული ჯიშის მწვანილი მოჰყავთ, ადგილობრივი ჯიშები მაღალი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა, ხოლო ჰიბრიდული უფრო გამძლე და პროდუქტიულია. ჰიბრიდული ჯიშები ზოგჯერ საერთოდ არ იძლევა თესლს და ზოგის გენეტიკა საგრძნობლად იცვლება უარესობისკენ. თუ მებოსტნეობის განვითარებაზე იფიქრებს ვინმე, მაშინ სწორედ სათესლე და საჩითილე მეურნეობის მოწყობით უნდა დაიწყოს. მებოსტნეობა სხვა დარგებთან შედარებით რენტაბელური დარგია, ნაკლები ხარჯები და ბაზრის დიდი მოთხოვნა მის მომგებიანობას განსაზღვრავს. ერთწლიანი ბოსტნეული კულტურის მოყვანა საქართველოს უმეტეს ნაწილში ორჯერ შეიძლება, ბარდის აღების შემდეგ შესაძლებელია ბოლოკის მოყვანა, საადრეო კომბოსტოს შემდეგ შესაძლებელია ვიფიქროთ ჭარხლის დათესვაზე და ასე შემდეგ. საქართველოში კი ზოგჯერ ერთი მოსავალიც ვერ მოჰყავთ უსახსრობის გამო, თორემ ორმოსავლიანობაზე იშვიათად ფიქრობენ.

საქართველოს პირობებში 25-მდე სახეობის მწვანილი მოჰყავთ ინტენსიურად, თუმცა 70 სახეობის ბოსტნეულია ჯამში ქართული მებოსტნეობისათვის ცნობილი. ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე უცხოელი ტურისტებისა და სამზარეულოს საზღვრების გახსნის გამო მოთხოვნადია ძირთეთრას, რევანდის, ბარამბოსა და სხვა ბოსტნეულის ასორტიმენტი, თუმცა მათი ნაწილი ან არ მოჰყავთ, ან კიდევ უმნიშვნელო რაოდენობით თესავენ და მიაწვდიან მომხმარებელს.

ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა ბუნებრივი ასპირინით მდიდარი პამიდვრის წარმოება. ,,პერუს ოქროს ვაშლებად“ წოდებული პროდუქტი კი ყველა სეზონსა და სუფრაზე მოთხოვნადია. მოსავლიანობის მაჩვენებლის ვარდნა განპირობებულია ვირუსული დაავადებების გავრცელებით, რომელთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები გლეხმა არ იცის. ძველებურად გლეხი ცდილობს შაბიამნით ებრძოლოს ყველა იმ დაავადებას, რომლებიც ასე ,,გადაემტერა“ პამიდორს ბოლო პერიოდში.

მებოსტნეობის სელექციაში ძალიან მნიშვნელოვანია ე.წ. ბიოტექნოლოგიური მეთოდები. არა მარტო ჩითილის მოვლა და შემდეგ მცენარის შეწამვლა, არამედ სადედე მცენარიდან უნდა დაიწყოს ზრუნვა ეფექტიანი, სუფთა, ჯანსაღი და ვირუსებისაგან დაცული თესლის მისაღებად. საქართველოში კი ეს არ არის დანერგილი და ამიტომაც ქართული მებოსტნეობა ან იმპორტირებულ თესლსა და ნერგზეა დამოკიდებული, ან კიდევ საოჯახო პირობებში მიღებული თესლ-ჩითილებით საბოლოოდ ვღებულობთ მცირე ან საშუალო რაოდენობის პროდუქციას.

ბოლო, შედარებით სრულყოფილი ქართულენოვანი სახელმძღვანელო მებოსტნეობისათვის, 1965 წელსაა გამოცემული და მისი გამოყენება აღარ შეიძლება. ინფორმირება კი ამ სექტორში დასაქმებული ადამიანის არ ხდება. სასწრაფოდ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ თანამედროვე სახელმძღვანელოს შექმნაზე, რათა ქართველი ფერმერი დროულად და სწორად იყოს ინფორმირებული. ეპიზოდური ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მოსახლეობას, ნამდვილად არასაკმარისია და ამ პრობლემის აღმოფხვრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტი უნდა გახდეს.

მემცენარეობის განვითარებისათვის საჭიროა სპეციალიზებული ცენტრების შექმნა და ეფექტიანი მუშაობა, სასათბურე და ღია გრუნტში მეურნეობების ხელშეწყობა, ტექნიკის შეტანა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ხელით შრომას, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის ზრდა, მაღალპროდუქტიულობაზე გამოცდილი თესლ-ნერგების შემოტანა, საშიში შხამ-ქიმიკატების ამოღება აგროთერაპიიდან, სტიმულირება ფინანსებითა და საკანონმდებლო ბაზით, ასევე დაზღვევის შემოღება, რადგან მემცენარეობა ძალიან ხშირად დამოკიდებული გარემო პირობებზე იმდენად, რომ განსაზღვროს მისი წამგებიანობა ან სარგებელი.

ტერიტორიული ორგანოების დონეზე უკვე საუბრობენ აგრონომების გადამზადებას, ვნახოთ, რამდენად მოხდება ,,ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პერიოდში დაანონსებული ერთმილიარდიანი ფონდის ჩამოყალიბება და რეალიზება.

# რამდენ ოჯახს შეუჩერდა სოციალური დახმარება?

**მერი ნამორაძე**

ნეტა რამდენი ადამიანი თვლის თავს სოციალურად დაუცველად? ქვეყანა რომ შემოიარო და ასეთი კითხვა დასვა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამ შეკითხვას დადებითად უპასუხებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოცდაუცველთა ბაზაში ყველა მოხვდება. ბოლო ხანებში ყოფილმა ხელისუფლებამ და ა.წ. ოპოზიციამ ერთი ვაი-უშველებელი ატეხა სოცდაუცველთა გარკვეული ნაწილისათვის სოციალური დახმარების შეწყვეტის გამო. რატომ მაინცდამაინც ახლა, ოპოზიციაში ყოფნისას და რატომ მაშინ არა, როცა ხელისუფლებაში იყვნენ? ასე უცებ დაავიწყდათ, რომ სოცდაუცველთა ბაზის შეცვლა-განახლება მუდამ ხდება და ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია — ვიღაცა ახლად აღმოჩნდება ამ ბაზაში, ვიღაც ამოვარდება სამსახურის თუ შემოსავლის წყაროს გაჩენის გამო, ანდა სულაც აფერისტობის გამოაშკარავების გამო. იქნებ ოპოზიციონერობას უხდება იმ ადამიანებთან სტუმრობა, ვინც რამდენიმე დღის წინ სოციალურ დახმარებას დაემშვიდობა. არადა, ყველამ კარგად იცის, რომ ბევრი არაკეთილსინდისიერად სარგებლობდა სოციალურად დაუცველის სტატუსით. რადგან ახალი ხელისუფლება განუხრელად ცდილობს უკანონობის აღმოფხვრას ყველა სფეროში, გამონაკლისი არც სოციალურად დაუცველთა ბაზაში „გაპარული“ უზუსტობების აღმოფხვრა უნდა აღმოჩნდეს.

რაც მართალია, მართალია – 200 ლარი არავის მოსჭარბებია და ნებისმიერი სამსახურის შოვნის შემთხვევაში მასთან გამოთხოვება ძნელია. მით უმეტეს, რომ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს სოციალურად დაუცველებს ლანგრით არავინ მიართმევს. ამიტომ არის სამსახურის შოვნის ფაქტების დამალვის შემთხვევები სოცდაუცველთა მხრიდან. მაგრამ კანონი კანონია!

სხვათა შორის, ერთმა სტაჟიანმა სოციალურმა აგენტმა ჩვენთან საუბრისას 5-წლიანი მოღვაწეობიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა გაიხსენა, როცა უკიდურესად გაჭირვებულმა 2 — სულიანმა ოჯახმა — ბაბუამ და შვილიშვილმა უარი თქვეს სოციალურ ფულად დახმარებაზე: — ჩემმა შვილიშვილმა მეეზოვედ დაიწყო მუშაობა და ეს ფული სხვა გაჭირვებულს მოახმარეთო. ასე რომ, ძალზე ბუნებრივია, ერთი მხრივ, სამსახურის წამოწყების შემთხვევების დამალვა სოციალურად დაუცველების მხრიდან, მეორე მხრივ კი, მუდმივად ამ ბაზის გადამოწმება-განახლების პროცესის წარმოება.

სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, რომ ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის № 126 დადგენილების შესაბამისად, ოჯახი ვალდებულია სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს ამ ცვლილებებიდან ერთი თვის ვადაში. იმ ოჯახებს, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა 2012 წლის 1 იანვრამდე, მინიჭებული ჰქონდათ 570001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა და ოჯახის შემოსავალი 2012 წლის განმავლობაში უფიქსირდებოდათ საშუალოდ თვეში 200 ლარზე მეტი და ეს ინფორმაცია არ შეესაბამება მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებს, გაუუქმდათ რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში — სულ 12 225 ოჯახს. ამის შესახებ ინფორმაციული წერილები დააგზავნეს ტერიტორიულმა ერთეულებმა.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების მიზნით ოჯახს უფლება აქვს, განცხადით მიმართოს სოციალური სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

იმ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 570001-ზე და მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა განხორციელდა 2012 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ოჯახის შემოსავალი 2012 წლის განმავლობაში ფიქსირდება საშუალოდ 200 ლარზე მეტი და ეს ინფორმაცია არ შეესაბამება მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებს, შეუჩერდათ ფულადი სოციალური დახმარების გაცემა 2013 წლის თებერვლის თვიდან. სულ – 5 935 ოჯახს.

„ახალ თაობასთან“ საუბრისას, ქალბატონმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, ერთ-ერთ თანამშრომელზე გვითხრა: — ორსართულიანი ბინა აქვს რაიონში, ჰყავს მანქანა, ჩამოვიდა თბილისში, იქირავა ბინა, მუშაობს მეეზოვედ, პარალელურად ალაგებს ჩვენს დაწესებულებას, იღებს სოციალურად დაუცველის ფულად სოციალურ დახმარებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 200 ლარი ვის მოსჭარბებია, მაგრამ, შე დალოცვილო, თუ ხელფასი გერჩის და ორ ადგილზე მუშაობა შეგიძლია, სხვას, უფრო გაჭირვებულს დაუთმე ეს ფული, არ შეიძლება?!

# „არა ოკუპაციას!“ — აქცია-კონცერტი შარდენის სკვერში

ეკა ირემაშვილი

25 თებერვალს საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის დღეს თბილისში შარდენის სკვერში აქცია-კონცერტი გაიმართება. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე კი ინტერნეტში გაჩნდა ვიდეომიმართვები სახელწოდებით „არა ოკუპაციას“, რომელშიც მონაწილეობენ მეუფე ანანია, აჩიკო გულედანი, ნენე კვინიკაძე, დავით პაიჭაძე, ლადო ბურდული, მიშა მესხი, გიორგი თუმანიშვილი, ზაურ ხალილოვი, ვახო ბაბუნაშვილი, დავით კოვზირიძე, ელენე ხოშტარია, მიშა მშვილდაძე, გეგა ჯაფარიძე, ჰელფ მი, რუმი, ტორესა, ხატია ბუნიათიშვილი, დათო ტურაშვილი, სანდრო გაბისონია, ქეთათო ჩარკვიანი, ზურა გეწაძე, რუსუდან გოცირიძე, ირაკლი ტაბლიაშვილი, ოლეგ ხუბაშვილი, ოთო კახიძე, დეკანოზი ირაკლი, ლევან ხუთიძე, გიორგი ქორქია და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა წევრები.

ვიდეომიმართვების ავტორი და აქციის ორგანიზატორი ორგანიცაზია „ჩვენი თავისუფლებაა“, რომელიც სპეციალურად შეიქმნა კამპანიისთვის „არა ოკუპაციას“. ამის ინიციატორები კი აჩიკო გულედანი, თამარ კვაშალი და გოგი ქავთარაძე არიან. მათ დაამზადეს 11 ვიდეორგოლი, სადაც სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის 25-მდე საქართველოს მოქალაქე გააერთიანეს და ეს ვიდეოებიც სამ დღეში საკუთარი ხარჯებით დაამზადეს.

**დათო ტურაშვილი, მწერალი:**

– 1921 წელს რომ დაიწყო ოკუპაცია და ოთხმა არმია შემოგვიტია, ივანე ჯავახიშვილმა ყველა აუდიტორიის კარი გამოაღო და სტუდენტებს მოუწოდა, რომ წასულიყვნენ და ეხსნათ ოკუპაციისგან საქართველო. თუ არ იქნებოდა ეს ქვეყანა დამოუკიდებელი, თავისუფალი, რასაც ასწავლიდა და ქმნიდა, იმას აზრი აღარ ექნებოდა. თავისუფლება არ არის დეკლარაცია, რომ გამოვაცხადოთ. თავისუფლება არის ბუნებრივი მონაცემი, ბუნებრივი გარემო, რომელშიც ადამიანი, ქვეყანა და საზოგადოება უნდა იზრდებოდეს. თავისუფალი ადამიანი ყოველთვის ამბობს „ჩვენ“ და გულისხმობს არა მარტო თავის თავს, არამედ ყველას. დღეს უნდა მოითხოვო თავისუფლება, დღეს უნდა იყო თავისუფალი და იმისთვის უნდა იბრძოლო რომ დღეს გახდე თავისუფალი, ყველაზე მთავარი, რისთვისაც იბადება ადამიანი, არის თავისუფლება, ამიტომ არა ოკუპაციას.

**დეკანოზი ირაკლი კუთხაშვილი:**

– ოკუპაცია ალბათ ყველაზე მეტი შეურაცხყოფაა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ღვთისგან გაჩენილი არიან თავისუფლად, მოწოდებული არიან თავისუფლებისათვის, თავისუფალი აზროვნებისთვის. პირველივე დღეს, როცა დაიწყო საომარი მოქმედებები, თვითონ მომიწია გორში შესვლა, არასოდეს დამავიწყდება ჯარისკაცების გამოხედვა, მათი იმედი, მათი მოლოდინი, მათი ამავდროულად შიშიც, გაურკვევლობაც. წუთებით გამოვასწარი ქალაქ გორის დაბომბვას. განსაკუთრებთი მძიმე და დამაფიქრებელია ყოველთვის, როცა გვესმის ეს სიტყვა და გვახსენდება ყველა ის დაღვრილი სისხლი, რომელიც ყოველთვის მოყვებოდა ოკუპაციას. ყველა ადამიანს მოვუწოდებ, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, წინ აღუდგეს ამას, არა ოკუპაციას!

**გიორგი ქორქია, ტელეწამყვანი:**

– ოკუპაცია ეს არის როცა ჩემს სახლში შემოდის აბსოლუტურად უცხო ადამიანი და მკარნახობს თავის წესებს, იმ წესებს, რომლითაც არც მე ვიცხოვრებ არასდროს, არც ჩემი შვილი და არც ჩემს წინაპრებს უცხოვრიათ. როდესაც მოდის, გინგრევს, გიშლის, გისპობს ყველაფერს, რაც შენი იყო საუკუნეების განმავლობაში. არასოდეს დამავიწყდება ქალბატონი, რომელიც ნანგრევებში იყო აფეთქებული, დასისხლიანებული ბოლომდე, ძაღლის კადრი, რომელიც მიცურავდა გემისკენ, ეს არის ყველაზე მაგარი კადრი, რაც კი ცხოვრებაში მინახავს. ახლაც დამბურძგლა, რომ გავიხსენე. მახსოვს სოხუმი, თეთრი ქათქათა მომღიმარი ხალხით და კოლორიტული წითელსახურავიანი ტაქსებით. მახსოვს, ჩავედი აფხაზეთში და მითხრეს, რომ ქუჩაში ქართულად არ დაილაპარაკოო. რამდენჯერმე მოვხვდი აფხაზეთში როგორც ჟურნალისტი, ეს იყო ის რაც არის ოკუპაცია, ნაღდი, დამანგრეველი, გაფუჭებული, ის, რასაც ჩვენ ყოველთვის უნდა ვებრძოლოთ, არ უნდა დავნებდეთ და მჯერა, რომ ამ ყველაფერს დავიბრუნებთ. არა ოკუპაციას!


დათო ტურაშვილი

**დიმა ობოლაძე, სპორტული კომენტატორი:**

– ქართველების თავმოყვარეობის გათელვაა ოკუპაცია, ადამიანებს ყველას ერთნაირი სახეები აქვთ, დაღონებული, განადგურებული, რომლებსაც თავისი სახლი ენატრებათ. ვერტმფრენები დაფრინავდნენ დაბალ სიმაღლეზე და ყრიდნენ რაღაცეებს. ეს აღმოჩნდა წყლიანი ბოთლები და როცა ხალხი გარეთ გამორბოდა, მერე ტყვიამფრქვევით ესროდნენ. ოკუპაციის დროს დიდი შანსია, რომ ერი გაერთიანდეს. არა ოკუპაციას!

**გიორგი ბაქრაძე, ინტელექტუალი:**

– 2008 წელს საქართველოში არ ვიყავი და განსაკუთრებით მძიმე იყო ეს პერიოდი, ისედაც არაფერი შეგიძლია, ისედაც შორს ხარ. გორის სახლი იყო, თუ არ ვცდები, სახლი იწვის და წინა პლანზე ქალი იყო, მისი თვალები ახლაც მახსოვს. ამ მდგომარეობას სასოწარკვეთილებაც აღარ ჰქვია. 1924 წელს დახვრიტეს ბებიაჩემის მამა და მამიდა. ეს არის ომი და ოკუპაცია. ჩვენ უნდა ვთქვათ, ოკუპაცია ცუდია და ოკუპაციას არა! იმის თქმა, რომ ჩვენ ვიდეოებით რუსეთს ვერ დავამარცხებთ, არ არის სწორი, ეს ნიჰილისტური მიდგომაა, ვიდეოებით ვერ დაამარცხებ, ომით ვერ დაამარცხებ და ხელები უნდა ჩამოვუშვათ და უნდა ვიყოთ ასე, ეს არ არის სწორი. არა ოკუპაციას!

**კახა ბუნდუქიძე, თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი:**

– ოკუპაცია არის, როცა ჩემთან სახლში ვიღაცაა შემოვარდნილი და ჩემს მაგივრად ცდილობს ჩემს სახლში იცხოვროს. ის განცდა, რომ გაგრაში ვეღარასოდეს მოვხვდები, ეს არის ჩემთვის ოკუპაცია. ყველაზე უფრო შემზარავი ჩემთვის იყო არა ის XIX საუკუნის ოკუპაცია, არამედ ოკუპაცია, რომელიც ბოლშევიკებმა მოახდინეს, ეს ორმაგი ოკუპაცია იყო. სიებით დადიოდნენ, რომ ადამიანები დაეჭირათ. ხანდახან როცა დასაჭერ ადამიანებს ვერ პოულობდნენ და ქუჩაში მარტოხელა კაცი მოდიოდა, მას ჩამოაცვემდნენ ტომარას და სხვის მაგივრად მიჰყავდათ. ახლა ძალიან მრცხვენია როცა სტალინის ძეგლს აღმართავენ ხელახლა, ან როცა საუბრობენ ლენინი რა კარგი იყო მაშინო.

**ხატია ბუნიათიშვილი, პიანისტი:**

– ადამიანს უჭირს იმის აღქმა, რაც მის ხასიათში არ ზის. ჩვენ ქართველებს გვიჭირს ოკუპაციის გააზრება, რადგან ჩვენ არ ვართ დამპყრობლები, რაც კარგია. დამპყრობელს სურს წაგართვას შენი, მიისაკუთროს შენი მშვენიერება, რადგან თავისი არ აკმაყოფილებს. თავისუფლებას გიზღუდავს ის, ვინც თავისუფლების ფასი არ იცის. თავისუფლება დღეს ჩვენი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ყველამ ერთად ხმამაღლა ვთქვათ არა ოკუპაციას, ამ შემთხვევაში ოკუპანტი გაამჟღავნებს შიშს იმისას, რომ ჩვენ გვახსოვს, ძალა ერთობაშია.

**ქეთათო ჩარკვიანი, მუსიკოსი:**

– ოკუპირებული ქვეყანა და ხალხი მთავარ ფუნქციას კარგავს, როდესაც შენ შეგიძლია შექმნა სახელმწიფო და გარკვეული გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღო. მთა-მთა მოდიოდა ხალხი და ყინვისგან კვდებოდა. მათ უწევდათ მიცვალებულებზე გადაებიჯებინათ. არა ოკუპაციას! საკმაოდ პატარა ვიყავი ზღვაზე და გავიგე, რომ აფხაზეთი დავკარგეთ.


აჩიკო გულედანი

**ზურა გეწაძე, მსახიობი:**

– ჩემთვის ოკუპაცია არის ძალადობა. 1921 წელი არ უნდა დაგვავიწყდეს, მახსენდება საერთო სასაფლაოები, ლტოლვილები, ცეცხლწაკიდებული სახლები, ამიტომ არა ოკუპაციას!

**აჩიკო გულედანი, მუსიკოსი:**

– ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნია ადამიანს, რაც ჩვენ გაგვაჩნია, არის თავისუფლება, ოკუპაცია არის თავისუფლების შეზღუდვა, თავისუფლების დაკარგვა. ამბავი იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც რაღაცის გამო დათმეს მთავარი ღირებულება. ძალიან დიდი შიში იმისა, რომ ყველაფერს დაინახავ შენი შვილების თვალებში. უცნაური შეგრძნებაა დაბომბვა, ამიტომ არა ოკუპაციას.

**მეუფე ანანია:**

– მახსენდება თამარ მეფის მიერ აშენებული დიდი სოფელი თამარაშენი, რომელიც რუსის ტანკებმა დაანგრიეს. დღეს იკორთის ტაძარი არის ოკუპანტების ხელში და იქ არიან დაკრძალული ჩვენი გმირები შალვა, ბიძინა და ელიზბარი, რომელთა ძვლებიც, ძალზე ვწუხვარ, მაგრამ არის დაპყრობილი და დამონებული მიწის ქვეშ. ჩვენი ხალხი დღეს წუხს და განიცდის რომ დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი, ოშკი, ბანა და ხახული. ეს იყო წარსულში, ეს არის ტრაგედია, მაგრამ რომ დაკარგეთ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი, ეს წუხილი ჩვენს ხალხში არ არის და ეს არის გასაოცარი. როცა ბომბავდნენ რუსული გემებიდან ბომბებით, სამოქალაქო მოსახლეობას უშენდნენ ბომბებს, მოხდა ეთნიკური წმენდა და თანაც ჩვენ თვალწინ. არა ოკუპაციას! ოკუპანტი სახელმწიფო საერთაშორისო წესების თანახმად საბოლოოდ აგებს პასუხს.

**დავით პაიჭაძე, ჟურნალისტი:**

– 2008 წელს არ ვიყავი საქართველოში და მქონდა წარმოუდგენელი უმწეობის და ბრაზის, რისხვის და შიშის გრძნობა. კი, ქვეყანა გექნება, მაგრამ არ იქნება სახელმწიფო, არ იქნება თავისუფლება. ჩემში ყოველთვის იქნება რაღაც ღერძი, რომელიც მომცემს საშუალებას თქვენ არ შეგეპუოთ, ამას არ შევეგუო, არ ვიცი რას მოვიმოქმედებ, მაგრამ როგორც ერთი ადამიანი არასოდეს შევეგუები. უნდა იყოს შეუპოვრობა და სურვილი, იმის მიუხედავად, რაც შენს თავს ტრიალებს, დადგე ფეხზე, განვითარდე არა სხვის ჯინაზე, არამედ იმიტომ რომ ეს შენ გჭირდება და შეძლო, შეეცადო, მოინდომო იყო თავისუფალი. „დიდება თავისუფლებას“, ეს არის ყველაზე საყვარელი სიტყვები ჩემთვის საქართველოს ჰიმნის ტექსტში. ამიტომ არა ოკუპაციას, დიდება თავისუფლებას და ძირს ოკუპაცია ადრე თუ გვიან.

**მიშა მშვილდაძე, პროდიუსერი:**

– მერვე კლასში ვიყავი, როცა რუსთაველზე აპრილის აქციები იყო. მახსოვს ხელში მეჭირა ტრანსპარატნი წარწერით „კრემლი ტერორის ბუდეა“. ჩემთვის ის მიტინგი დღემდე გრძელდება, რადგან დეოკუპაცია არ დასრულებულა. ურიგობის რიგი იყო პურის რიგში. ძაღლი რომ მიცურავს წყალში და გემი რომ გადის, ეს არასოდეს დამავიწყდება. არა ოკუპაციას!

**ლადო ბურდული, მუსიკოსი:**

– ჩემთვის ოკუპაცია არის საკუთარი ნების, საკუთარი სურვილის და საკუთარი დამოუკიდებლობის დაკარგვა და მონობაში ყოფნა. არა მონობას! მთელი ბავშვობა ვნატრობდი რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი, ძლიერი და არავის დიქტატის ქვეშ არ ყოფილიყო. 300 არაგველის ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ! ამ ქვეყანაში იმიტომ დავრჩი საცხოვრებლად, რომ ამეშენებინა დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო და ამისთვის ვიბრძოლებ ბოლო წვეთამდე.

**გიორგი თუმანიშვილი:**

– საბჭოთა კავშირის დროს იდევნებოდა მთელი ჩემი გვარი. 1937-ში დახვრიტეს ბაბუაჩემის მამა. ბაბუაჩემი იდევნებოდა იმის გამო, რომ არ იყო პარტიაში და საკუთარი რელიგიური შეხედულებები ჰქონდა. 2008-ში ჩემი სტუდენტების დიდი ნაწილი იყო გორში, ისინი მზად იყვნენ გაეწირათ ყველაფერი, გაეწირათ საკუთარი სიცოცხლე მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ არ დავმონებოდით რუსეთს. აუცილებელია მენტალური ცვლილებები მოხდეს ჩვენში. კარგად დავფიქრდეთ, გავიაზროთ რა გვსურს და რა არ გვსურს. რა არის თითოეული ჩვენთაგანის პი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## აუდიტი

**გთავაზობთ „C“ და „B“ კატეგორიის ალტერნატიულ საგადასახადო შემოწმებას.**

**დაიმახსოვრეთ ტელეფონები:**

**2-52-67-37; 5-99-26-55-85.**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# „ზესტაფონი“ საქართველოში ტიტულებით მესამე გუნდი გახდა

**ზესტაფონი – დილა 0:0 (4:2პ)**
**თბილისი. მიხეილ მესხი. 5.000**

**პენალტები:** კვირკველია (აცილა) 0:0, ბაბუნაშვილი 1:0, გვალია 1:1, ღონღაძე 2:1, მოდებაძე 2:2, იელიჩი 3:2, რამოსი (მეკარე) 3:2, გორგიაშვილი 4:2

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, ღონღაძე, ბენაშვილი (ბოტი დემელი 62), იელიჩი, პეტკოვი (ბაბუნაშვილი 106), გორგიაშვილი, აფციაური (სამუშია 80), კუტალია

**დილა:** შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, თომაშვილი, კვირკველია, არზიანი, გვალია, მაისურაძე (ილურიძე 96), კახელიშვილი, რამოსი, ჟუნიორი (მოდებაძე 75)

„ზესტაფონმა“ ზედიზედ მეორედ მოიგო საქართველოს სუპერთასი და ამ მაჩვენებლით თბილისის „ამერს“ გაუსწორდა, მოგებული ტიტულებით კი „ვიტ ჯორჯიას“ გაასწრო და ახლა ამ მაჩვენებლით მხოლოდ თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ჩამორჩება.

მატჩი თანაბარი გამოდგა და მატჩისშემდგომ პენალტებამდეც მივიდა. ერთია, თამაში მმაინც და მაინც სანახაობრივი ვერ გამოდგა. პირველი ტაიმში მნიშვნელოვანი მხოლოდ აკა ალადაშვილის საჯარიმო დარტყმა იყო, რომელიც რიონ კვასხვაძემ მოიგერია, ხოლო ტაიმის ბოლოს კაჭკაჭიშვილმა კუთხურის შემდეგ თავით ააცილა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ზესტაფონელთა ახალწვეულმა დიმიტარ პეტკოვმა გორელთა შემტევ ნახევარმცველ ირაკლი მაისურაძეს ეუხეშა, რასაც მაისურაძემ საკმაოდ აგრესიულად უპასუხა და ბულგარელი ძირს დასცა, მსაჯმა კი ორივე წყვითელი ბარათით დასაჯა, რასაც გულშემატკივართა უკმაყოფილება მოჰყვა. ვფიქრობთ, მაისურაძე აშკარად იმსახურებდა გაძევებას.

ცოტა ხანში, გორელთა საჯარიმოში ხიფათი ღონღაძემ შექმნა, მაგრამ მის მოწოდებულს ვერავინ გამოეხმაურა. შემდეგ მომენტები იელიჩსა და გორგიაშვილს ჰქონდათ, მაგრამ მნიშვნელოვანი ხიფათი ვერა და ვერ შეიქმნა. აღსანიშნავია კახელიშვილის აქტიურობა, რომელიც ხშირად უქმნიდა ჩემპიონს პრობლემებს ფლანგიდან ჩაწოდებებით.

გორელებმა ძალები შორეულ დარტყმებშიც მოსინჯეს, ჯერ კვირკველიას დარტყმული კვასხვაძემ კუთხურზე მოიგერია, შემდეგ კი, მაისურაძე ცდილობდა საჯარიმოს გარედან მეტოქის კარის აღებას. კარგი მომენტი ჰქონდა ლეონარდოს, რომელიც ფაქტობრივად მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ კვასხვაძემ გამოსვლაზე კარგად ითამაშა და სიტუაციაც განიმუხტა.

შეხვედრის მიწურულს კი სიტუაცია ძალზედ დაიძაბა, შეცვლაზე შემოსულმა ბოტი გოა დემელმა ბურთი ცენტრში მიიღო და საკმაოდ მაღალი სისწრაფით გორელთა კარისკენ დაიძრა, მაგრამ გვალიამ უკნიდან წესებით დარღვევით შეაჩერა. ბოტი ფაქტობრივად მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მსაჯმა გვალია ყვითელი ბარათით დასაჯა, რასაც კვლავ გულშემატკივართა პროტესტი მოჰყვა. თუმცა, ამ შემთხვევაში ვადაჭკორიას საქციელი მართებულად მიგვაჩნია. ჯარიმა ზესტაფონელებმა ცუდად შეასრულეს და ძირითადი დროც ამოიწურა – 0:0.

დამატებით დროში ორივე გუნდს ჰქონდა მომენტები, მაგრამ ტაბლოზე არაფერი შეცვლილა.

ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი პენალტებისთვის მოემზადნენ. პირველი დარტყმა კვირკველიამ შეასრულა, რომელმაც კვასხვაძის კარს ბურთი ააცილა, საპასუხოდ კი იმერელთა დაწინაურება ბაბუნაშვილმა შეძლო. ამას მოჰყვა გორელთაგან გვალიასა და მოდებაძის ზუსტი შესრულება, ზესტაფონელთაგან კი, ღონღაძე და იელიჩი გამოირჩნენ – 3:2. მეოთხე დარტყმა გორელთაგან ლეონარდო რამოსმა შეასრულა და კვახვაძემ მოიგერია! იმერლებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს, თასამდე ჩემპიონს მხოლოდ ერთი ზუსტი დარტყმა აშორებდა, ბურთთან თორნიკე გორგიაშვილი მივიდა და აუღელვებლად გადაგზავნა ბურთი ბადეში – სუპერთასს „ზესტაფონი“ დაეუფლა!

**მატჩის შემდეგ**

**ვალდას ივანაუსკასი:**

– კარგი მატჩი გამოვიდა, დაძაბული, ვულოცავ „ზესტა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# „დათვები“ ისევ წაქცეულია

**რუსეთი – საქართველო 9:23**

**რუსეთი:** იგორ კლუჩნიკოვი, ვასილი არტემიევი, დიმიტრი გერასიმოვი, ალექსეი მაკოვეცკი, მიხაილ ბაბაევი, სერგეი იანუშკინი, ალექსანდრ იანუშკინი; ალექსეი ვოლკოვი, მაქსიმ ტიმოშუკი, ანდრეი იგრეცოვი, ალექსანდრ ვოიტოვი, კირილ კულემინი, ანდრეი ტემნოვი, პაველ ბუტენკო, ვიქტორ გრესევი.

**სათადარიგოები:** ანდრეი პოლივალოვი, ევგენი პრონენკო, ინოკენტი ზიკოვი, პავლე კვერნაძე, არტიომ ფათახოვი, ალექსეი შერბანი, სერგეი სუგრობოვი, სერგეი ტრიშინი.

**საქართველო:** ლაშა ხმალაძე, თამაზ მჭედლიძე, თედო ზიბზიბაძე, მერაბ შარიქაძე, ირაკლი მაჩხანელი, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი ბეგაძე; მიხეილ ნარიაშვილი, იური ნატრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, გიორგი ჩხაიძე, კონსტანტინე მიქაუტაძე, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, დიმიტრი ბასილაია.

**სათადარიგოები:** შალვა მამუკაშვილი, ვასილ კაკოვინი, დავით ქუბრიაშვილი, ლაშა ლომიძე, ვიტო კოლელიშვილი, ვაჟა ხუციშვილი, დავით კაჭარავა, ბექა წიკლაური.

„ბორჯღალოსნებმა“ ჩრდილოელი მეზობლები კიდევ ერთხელ დაამარცხეს და უკვე წლებია თუნდაც სარევანშო გამარჯვების იმედს უსპობენ. თუმცა, ამჯერად ხარისხი სახარბიელო ნამდვილად არ იყო. და მაინც, ეს დიდი ხარვეზი საკმარისი აღმოჩნდა მეტოქის დასამარცხებლად.

არადა, რუსები დიდ იმედებს ამყარებდნენ, რომ 23 თებერვალს, მათი არმიის დღეს მაინც შეძლებდნენ ქართველთა დამარცხებას, მაგრამ მოედანზე არმიელები კი არა, მორაგბეები გადიან და ჩვენებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ამას კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლებენ.

ზემოთ ხარისხი ვახსენეთ და ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენი ნაკრები ჯერაც ვერაა იმ დონეზე, რომელზეც გვსურს. ხშირი ტექნიკური წუნი, უდისციპლინობა, არასწორი გადაწყვეტილებები, წაგებული დერეფნები, არცთუ კარგად შესრულებული ტაქტიკური დარტყმები... ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც დავინახეთ. რუსებმა 21 ქულა გვაჩუქეს იმ გამოუყენებელი ჯარიმებით, რომელიც ხელსაყრელი სიტუაციებიდან კარს ააცილეს. ეს რუსეთია, მაგრამ სხვა გუნდები ამას გვაპატიებენ?

თავად მატჩი ქარსა და წვიმაში წარიმართა. ცხადია, ამან თავისი დაღი დაასვა. თავიდან თითქოს ვფლობდით უპირატესობას, განსაკუთრებით წინა ხაზში, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – გვიჭირდა ტექნიკურად, ვაგებდით დერეფნებს, რაც პრობლემებს გვიქმნიდა და ხშირად ვჯარიმდებოდით.

რუსეთმა ჯარიმის შესრულების უფლება მალევე მოიპოვა და იგორ კლუჩნიკოვმა მასპინძლები დააწინაურა. გაშვებულ ჯარიმას „ბორჯღალოსნებმა“ მძლავრი შეტევით უპასუხეს, მეტოქე მთელი 5 წუთით საკუთარ 22-ში გამოკეტეს და რადგან ლელოს გატანა ვერ მოახერხეს, მერაბ კვირიკაშვილმა გასატანი პოზიციიდან წონასწორობის აღდგენა გადაწყვიტა – 3:3. საქართველოს ნაკრები კვლავ დაეუფლა სათამაშო უპირატესობას, მაგრამ ჯერ ჩვენი დერეფანი წავაგეთ, მერე მეკომ ჯარიმიდან ბურთი აუტში ხეირიანად ვერ გადაიტანა, ამას ტექნიკური წუნი დაემატა და რუსებმა კონტრშეტევებზე სამჯერ მიიღეს ანგარიშში დაწინაურების შესაძლებლობა. საბედნიეროდ, კლუჩნიკოვს ჯარიმები ერთი მეორეს მიყოლებით გაუცუდდა, აქედან მესამე, ყველაზე რეალური პოზიციიდან და მერე დარტყმის შანსი კვირიკაშვილმაც მიიღო. მას ახლო მანძილიდან ფეხი არ აუკანკალდა – 6:3. მიუხედავად ქართველთა უპირატესობისა, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კლუჩნიკოვმა კიდევ ერთხელ მიიღო ჯარიმის შესრულების უფლება, ამჯერად თითქმის კარის გასწვრივ 20 მეტრიდან, მაგრამ ისევ ააცილა..



მეორე ტაიმის დასაწყისში, საქართველოს ნაკრები კიდევ ერთხელ რომ დაჯარიმდა, დარტყმა სერგეი იანუშკინმა ითავა, მაგრამ ოდნავ მარცხნივ 25 მეტრიდან, გასატანი პოზიციიდან მიზანს მანაც ვერ უწია. მალე, დისციპლინამ ერთხელაც დაგვალალატა, ჯარიმას ისიც დაერთო, რომ მსაჯმა 10 მეტრით წინ წაწია მასპინძლები და კლუჩნიკოვმა დარტყმა კიდევ ერთხელ გააფუჭა. ამასობაში, დასკვნითი ნახევარი საათის დრო დადგა და საქართველოს ნაკრებმაც გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. ჯერ ვიტო კოლელიშვილმა მოიგო მეტოქის აუტი, რუსებმა იერიში ჯარიმის ხარჯზე შეაჩერეს და კვირიკაშვილმა გასატანი პოზიციიდან ააცილა.

ამის შემდეგ კი უკვე სრულად დადგა ქართველთა ჯერი. ჯერ არეულ თამაშში ლაშა ხმალაძემ ხაზი გაჭრა, მას მამუკა გორგოძე და თედო ზიბზიბაძე წაეხმარნენ, სალელო შეტევის დასრულება კი ვიტო კოლელიშვილმა ითავა. „ბორჯღალოსანთა“ უპირატესობა კვირიკაშვილმა გარდასახვით გაამყარა.

რუსებმა მატჩის განახლებისთანავე მიიღეს ჩამორჩენის შემცირების შანსი და იანუშკინს მიზანმა კიდევ ერთხელ უმტყუნა, თუმცა ორიოდე წუთში, როდესაც კოტე მიქაუტაძე დაჯარიმდა და სინბინით დაისაჯა, იანუშკინს დარტყმა აღარ გაუცუდდა. მეტოქე მეტობაში დარჩა და შანსის გამოყენებას შეეცადა, მაგრამ მილტომ ჰეიგის გუნდმა მობილიზება მოახდინა, კარგი შეტევა წამოიწყო, მეტოქეს დაჯარიმება აიძულეს და კვირიკაშვილმაც ჯარიმით 10-ქულიანი უპირატესობა დაგვიბრუნა. ამასთან, ვოლკოვიც გაასინბინეს და ამ მხრივ მოედანზე თანაფარდობა აღსდგა.

14-14-ზე თამაშისას, რუსებმა პირველად შეძლეს ქართველთა დაცვის ხაზის გაჭრა და ბოჭვაზე კვირიკაშვილს რომ არ ეყოჩაღა, ეგებ, ლელოც გასულიყო. მართალია, შეცვლაზე შესულმა სერგეი სუგრუბოვმა, ჯარიმით სხვაობა 7 ქულამდე დაიყვანა და მასპინძლები ფრეზე დააფიქრა, მაგრამ ჩვენებმა შეუტიეს, კოლელიშვილი ჩათვლის მოედანს ორიოდე მეტრამდე მიუახლოვდა, იქ უკვე გორგოძემ აიტაცა ბურთი და ყველაფერი გაარკვია. საბოლოო წერტილი კი კვირიკაშვილმა გარდასახვით დასვა.

რუსთა მიერ აცილებულ ჯარიმებზე მათი ნაკრების უელსელმა მთავარმა მწვრთნელმა კინგსლი ჯონსმა განაცხადა:

– ასეთი რამ არასდროს მინახავს. მორაგბეები ვარჯიშებისას ჯარიმებს იდეალურად ასრულებდნენ და დამრტყმელებში იოტისოდენა ეჭვიც არ შემპარვია. შესაძლოა, მათზე ზეწოლამ და წვიმიანმა ამინდმა იმოქმედა. ჯარიმების გამოყენების პროცენტი უფრო მაღალი რომ ყოფილიყო, ახლა სხვა შედეგი გვექნებოდა. მოწინააღმდეგე ხშირად გვაძლევდა შანსს, მაგრამ ჩვენ ისინი ვერ დავსაჯეთ, საბოლოოდ კი, ქართველებმა გაგვტეხეს.

**სხვა მატჩები:**

**ესპანეთი – რუმინეთი 15:25**

**პორტუგალია – ბელგია 18:12**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 65:34 | 12 |
| 2.რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 73:42 | 12 |
| 3.პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 43:56 | 5 |
| 4.ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | 46:56 | 4 |
| 5.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 36:61 | 4 |
| 6.ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 45:59 | 3 |

**დარჩენილი მატჩები:**

**9 მარტი:** საქართველო-ესპანეთი; პორტუგალია-რუსეთი; ბელგია-რუმინეთი;

**16 მარტი:** რუმინეთი-საქართველო; ესპანეთი-პორტუგალია; რუსეთი-ბელგია;

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-სტოკი ............ 1:0
არსენალი-ასტონ ვილა ............ 2:1
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი ..... 2:1
ქრპ-მანჩესტერი ............ 0:2
ნორვიჩი-ევერტონი ............ 2:1
რედინგი-უიგანი ............ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 27 | 22 | 2 | 3 | 64:31 | 68 |
| 2.სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48:24 | 53 |
| 3.ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55:28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44:30 | 48 |
| 5.არსენალი | 27 | 13 | 8 | 6 | 52:30 | 47 |
| 6.ევერტონი | 27 | 10 | 12 | 5 | 41:34 | 42 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| 8.ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49:34 | 39 |
| 9.სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38:34 | 37 |
| 10.სტოკი | 27 | 7 | 12 | 8 | 26:32 | 33 |
| 11.ფულემი | 27 | 8 | 8 | 11 | 37:42 | 32 |
| 12.ნორვიჩი | 27 | 7 | 11 | 9 | 27:41 | 32 |
| 13.ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:38 | 30 |
| 14.სანდერლენდი | 27 | 7 | 8 | 12 | 29:36 | 29 |
| 15.ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:46 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:45 | 27 |
| 17.უიგანი | 27 | 6 | 6 | 15 | 33:51 | 24 |
| 18.ასტონ ვილა | 27 | 5 | 9 | 13 | 26:52 | 24 |
| 19.რედინგი | 27 | 5 | 8 | 14 | 33:51 | 23 |
| 20.ქპრ | 27 | 2 | 11 | 14 | 19:43 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლექბერნი-ლიდსი ............ 0:0
ბლექპული-ლესტერი ............ 0:0
ბოლტონი-ჰალი ............ 4:1
ბრაიტონი-ბარნლი ............ 1:0
ბრისტოლი-ბარნსლი ............ 5:3
პიტერბრო-ბირმინგემი ............ 0:2
უოტფორდი-დერბი ............ 2:1
ჰადერსფილდი-იფსვიჩი ............ 0:0
ჩარლტონი-ნოტინგემი ............ 0:2
უენსდი-კრ.პალასი ............ 1:0
მიდლსბრო-მილუოლი ............ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-სოსიედადი ............ 1:3
მალიორკა-ხეტაფე ............ 1:3
სარაგოსა-ვალენსია ............ 2:2
დეპორტივო-რეალი ............ 1:2
ბარსელონა-სევილია ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 82:28 | 68 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 2 | 5 | 47:23 | 53 |
| 3.რეალი | 25 | 16 | 4 | 5 | 62:23 | 52 |
| 4.მალაგა | 24 | 12 | 6 | 6 | 35:21 | 42 |
| 5.ვალენსია | 25 | 12 | 5 | 8 | 36:37 | 41 |
| 6.სოსიედადი | 25 | 10 | 7 | 7 | 41:31 | 40 |
| 7.რაიო | 24 | 12 | 1 | 11 | 33:41 | 37 |
| 8.ბეტისი | 24 | 11 | 3 | 10 | 31:35 | 36 |
| 9.ხეტაფე | 25 | 10 | 5 | 10 | 37:42 | 35 |
| 10.ლევანტე | 24 | 10 | 4 | 10 | 30:36 | 34 |
| 11.სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34:37 | 32 |
| 12.ესპანიოლი | 24 | 8 | 7 | 9 | 31:34 | 31 |
| 13.ვალიადოლიდი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:32 | 30 |
| 14.გრანადა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:34 | 26 |
| 15.ბილბაო | 25 | 7 | 5 | 13 | 30:49 | 26 |
| 16.ოსასუნა | 24 | 5 | 7 | 11 | 20:27 | 25 |
| 17.სარაგოსა | 25 | 7 | 4 | 14 | 24:36 | 25 |
| 18.სელტა | 24 | 5 | 5 | 14 | 22:31 | 20 |
| 19.მალიორკა | 25 | 4 | 6 | 15 | 24:48 | 18 |
| 20.დეპორტივო | 25 | 3 | 7 | 15 | 29:56 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ხიხონი ............ 0:1
ლუგო-უელვა ............ 2:0
მურსია-ნუმანსია ............ 0:0
ბარსელონა ბ-ერკულესი ............ 1:0
რასინგი-მურანდესი ............ 2:0

**იტალია. სერია ა**

პალერმო-ჯენოა ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 50:17 | 55 |
| 2.ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 46:21 | 51 |
| 3.მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 44:31 | 44 |
| 4.ლაციო | 25 | 14 | 5 | 7 | 35:29 | 44 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:33 | 43 |
| 6.ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45:30 | 42 |
| 7.კატანია | 25 | 11 | 6 | 8 | 32:30 | 39 |
| 8.რომა | 25 | 11 | 4 | 10 | 51:45 | 37 |
| 9.უდინეზე | 25 | 9 | 9 | 7 | 35:34 | 36 |
| 10.პარმა | 25 | 8 | 8 | 9 | 31:33 | 32 |
| 11.ტორინო | 25 | 7 | 11 | 7 | 29:28 | 31 |
| 12.სამპდორია | 25 | 8 | 6 | 11 | 31:30 | 29 |
| 13.კიევო | 25 | 8 | 5 | 12 | 26:40 | 29 |
| 14.კალიარი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:41 | 28 |
| 15.ატალანტა | 25 | 8 | 5 | 12 | 22:35 | 27 |
| 16.ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33:35 | 26 |
| 17.ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:37 | 26 |
| 18.სიენა | 25 | 7 | 6 | 12 | 27:34 | 21 |
| 19.პესკარა | 25 | 6 | 3 | 16 | 20:51 | 21 |
| 20.პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22:39 | 19 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-ნოვარა ............ 0:6
ვერონა-ბარეზე ............ 2:0
ვიჩენცა-სასუოლო ............ 0:1
კროტონე-ტერნანა ............ 0:1
ლანჩანო-რეჯინა ............ 3:1
პრო ვერჩელი-ბარი ............ 2:1
ემპოლი-პადოვა ............ 1:1
ჩიტადელა-ლივორნო ............ 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ............ 2:1
ბაიერნი-ვერდერი ............ 6:1
ჰანოვერი-ჰამბურგი ............ 5:1
მაინცი-ვოლფსბურგი ............ 1:1
შტუტგარტი-ნიურნბერგი ............ 1:1
შალკე-ფორტუნა ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 19 | 3 | 1 | 57:7 | 60 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 12 | 6 | 4 | 50:26 | 42 |
| 3.ლევერკუზენი | 22 | 12 | 5 | 5 | 43:30 | 41 |
| 4.აინტრახტი | 23 | 11 | 5 | 7 | 38:34 | 38 |
| 5.ფრაიბურგი | 23 | 9 | 8 | 6 | 29:22 | 35 |
| 6.ჰამბურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 28:32 | 34 |
| 7.ჰანოვერი | 23 | 10 | 3 | 10 | 46:42 | 33 |
| 8.მაინცი | 23 | 9 | 6 | 8 | 31:28 | 33 |
| 9.შალკე | 23 | 9 | 6 | 8 | 37:38 | 33 |
| 10.გლადბახი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:33 | 30 |
| 11.შტუტგარტი | 23 | 8 | 5 | 10 | 25:40 | 29 |
| 12.ვერდერი | 23 | 8 | 4 | 11 | 39:47 | 28 |
| 13.ფორტუნა | 23 | 7 | 6 | 10 | 28:31 | 27 |
| 14.ნიურნბერგი | 23 | 6 | 9 | 8 | 23:30 | 27 |
| 15.ვოლფსბურგი | 23 | 7 | 6 | 10 | 23:33 | 27 |
| 16.აუგსბურგი | 23 | 3 | 9 | 11 | 20:36 | 18 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 23 | 4 | 4 | 15 | 27:48 | 16 |
| 18.ფიურტი | 22 | 2 | 6 | 14 | 13:36 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-დინამო ............ 1:1
კიოლნი-უნიონი ............ 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-სოშო ............ 2:2
აიაჩო-ლილი ............ 1:3
ვალანსიენი-ტულუზა ............ 0:0
ნანსი-სენტ ეტიენი ............ 0:3
ტრუა-ბასტია ............ 0:0
ევიანი-მონპელიე ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 15 | 6 | 4 | 47:16 | 51 |
| 2.ლიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 43:24 | 48 |
| 3.მარსელი | 25 | 14 | 4 | 7 | 32:29 | 46 |
| 4.ნიცა | 26 | 12 | 9 | 5 | 39:28 | 45 |
| 5.სენტ ეტიენი | 26 | 12 | 8 | 6 | 40:19 | 44 |
| 6.მონპელიე | 26 | 12 | 5 | 9 | 41:32 | 41 |
| 7.რენი | 26 | 12 | 5 | 9 | 39:34 | 41 |
| 8.ლილი | 26 | 10 | 10 | 6 | 34:26 | 40 |
| 9.ლორიენი | 25 | 10 | 9 | 6 | 41:39 | 39 |
| 10.ბორდო | 25 | 9 | 11 | 5 | 26:20 | 38 |
| 11.ვალანსიენი | 26 | 9 | 7 | 10 | 34:36 | 34 |
| 12.ტულუზა | 26 | 8 | 9 | 9 | 32:32 | 33 |
| 13.აიაჩო | 26 | 7 | 10 | 9 | 29:36 | 29 |
| 14.სოშო | 26 | 7 | 6 | 13 | 27:38 | 27 |
| 15.ბასტია | 26 | 7 | 6 | 13 | 29:51 | 27 |
| 16.ბრესტი | 25 | 7 | 4 | 14 | 25:36 | 25 |
| 17.რეიმსი | 26 | 5 | 9 | 12 | 22:31 | 24 |
| 18.ევიანი | 26 | 5 | 8 | 13 | 23:39 | 23 |
| 19.ტრუა | 26 | 3 | 11 | 12 | 28:46 | 20 |
| 20.ნანსი | 26 | 3 | 9 | 14 | 22:44 | 18 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანტი-ჰავრი ............ 2:0

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

ერაკლესი-ვიტესი ............ 3:5
ვენლო-ვალვაიკი ............ 1:0
გრონინგენი-ზვოლე ............ 1:0
ჰერენვენი-ტვენტე ............ 2:1

**პორტუგალია. ლიგა**

ეშტორილი-სპორტინგი ............ 3:1
სეტუბალი-ბეირა მარი ............ 1:0
ბრაგა-გიმარაეში ............ 3:2
პორტუ-რიუ ავე ............ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმარნოკი-აბერდინი ............ 1:1
როს ქაუნთი-მოზერველი ............ 3:0
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი ............ 1:0
ჰართსი-ინვერნესი ............ 2:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-ლოზანა ............ 1:0
ციურიხი-იანგ ბოიზი ............ 4:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-მატერსბურგი ............ 2:0
აუსტრია-ადმირა ............ 4:0
ნოიშტადი-რიდი ............ 0:0
შტურმი-ვოლფსბურგერი ............ 1:3

**ბელგია. პროლიგა**

გენტი-სერკლი ............ 2:0
ბეერსხოტი-ლიერსი ............ 1:3
ბევერენი-ლოკერენი ............ 0:0
კორტრაიკი-მონსი ............ 0:1
მეხელენი-ლეუვენი ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-ვერია ............ 0:2
პაოკი-კერკირა ............ 3:1
პანათინაიკოსი-ოფი ............ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისტანბული-ესკიშეჰირი ............ 2:2
ელაზიგი-ანთალია ............ 2:1
მერსინი-ტრაბზონი ............ 0:1
სივასი-ბეშიქთაში ............ 0:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბანიკი-ბუდეიოვიცე ............ 0:0
ლიბერეცი-იაბლონეცი ............ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოდბესკიჟიე-იაგელონია ............ 4:0
შლიონსკი-ვიძევი ............ 2:1
კორონა-ლეგია ............ 3:2

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

უნიონი-ქილმესი ............ 0:3
ოლ ბოიზი-ბოკა ............ 2:0
ლანუსი-ველეჟი ............ 1:0

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ჰიუსტონი ............ 105:103
ორლანდო-კლივლენდი ............ 94:118
შარლოტი-დენვერი ............ 99:113
დეტროიტი-ინდიანა ............ 72:90
ფილადელფია-მაიამი ............ 90:114
მილუოკი-ატლანტა ............ 102:103
კლიპერსი-იუტა ............ 107:94

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ედმონტონი-ფინიქსი ............ 2:2(1:0ბ)
ლოს ანჯელესი-კოლორადო ............ 4:1
ბუფალო-აილენდერსი ............ 0:4
დეტროიტი-ნეშვილი ............ 4:0
კაროლინა-ტამპა ბეი ............ 2:5
მონრეალი-ნიუ იორკი ............ 3:0
ოტავა-ტორონტო ............ 3:2
დალასი-სან ხოსე ............ 3:1
კალგარი-მინესოტა ............ 3:1
სენტ ლუისი-კოლამბუსი ............ 2:1

# „არა ოკუპაციას!“ — აქცია-კონცერტი შარდენის სკვერში

დასაწყისი მე-8 გვერდზე

როვნული ღერძი. 25 თებერვალი არის ჩემი შვილის ქრისტინას დაბადების დღე, მაგრამ ამის მიუხედავად არა ოკუპაციას!

**ვახო ბაბუნაშვილი, მუსიკოსი:**

– მახსენდება ბაბუაჩემის მამის ნიკოლოზ ქარცივაძის ფოტო დახვრეტის წინ. მახსენდება ის სახე და თვალები, დარწმუნებული ვარ, რომ ფოტოს გადაღების მომენტში ის კაცი ფიქრობდა თავის შთამომავლობაზე და მათ შორის, ალბათ ჩემზეც. ყოველდღე ეს მახსოვს. სამწუხაროდ, ოკუპაცია მხოლოდ წარსულში დარჩენილი ძველი ამბავი აღარ არის, ის ახლაც გრძელდება. არა ოკუპაციას!

**მიშა მესხი, მსახიობი:**

– თავისუფლების შეზღუდვაა ოკუპაცია, პირველ რიგში ეს საბჭოთა კავშირთან ასოცირდება. ყველანაირად ყველა ადამიანი დაბლოკილი იყო, ეს პირადად ჩემს ოჯახსაც ეხება.

**ნენე კვინიკაძე, მწერალი:**

– 2008 წელს როდესაც რუსეთ-საქართველოს ომი მიმდინარეობდა, მე ვიყავი ორსულად. ერთი აკვიატებული აზრი მქონდა ამ დროს, რომ რამდენიმე თვეში გაჩნდებოდა ბავშვი, მაგრამ არ ვიცოდი როგორ ქვეყანაში გაჩნდებოდა. ასევე არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა სოხუმი დაეცა. ერთადერთი ფობია მაქვს, ეს არის ომი. არა ოკუპაციას. ჩვენ ყველას ერთად ნამდვილად შეგვიძლია მდგომარეობის შეცვლა.

**სანდრო ცნობილაძე:**

– ოკუპაციასთან დაკავშირებით მახსენდება იუნკერების ისტორია, რომლებიც შეეწირნენ ქვეყნის თავისუფლებას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავიდან ბოლომდე უნდა გავისიგრძეგანოთ რას ნიშნავს როცა შენი ქვეყანა არის ოკუპირებული. არა ოკუპაციას! ვარდების რევოლუციის მოედანზე გაკეთებული წარწერა „სტოპ რაშა“ მახსენდება ყველაზე ხშირად და არა ოკუპაციას!

**მაკა ანთიძე:**

– ოკუპაცია ჩემთვის ყველა იმ ადამიანის ისტორიაა, რომელსაც ვისმენდი ომის დღეებში, ადამიანის რომელმაც დაკარგა ახლობელი ადამიანი, ოჯახის წევრი, მეგობარი. ვაშუქებდი ომს, მაგრამ ეს ომი იყო ჩემს ქვეყანაში, დავურეკე ჩემს პროდიუსერს, მივდივარ კიკეთში, ამბობენ, რომ დაბომბესო. არ მავიწყდება იმ ადამიანების სახეები, ვინც ეს ომი გამოიარა. არა ოკუპაციას!

შარდენის სკვერში ორგანიზაციის „ჩვენი თავისუფლება“ მიერ დაგეგმილ აქცია-კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქეთათო ჩარკვიანი, ლადო ბურდული, გრინ რუმი, ზურგი, ვიტამინი, კონტრაბანდა და სხვა მუსიკალური ჯგუფები.

ამ თარიღთან დაკავშირებით, კოჯორში იუნკერების მემორიალთან უკვე ჩატარდა აქცია „დამეხსენი ჩრდილოელო!“, ეს ფრაზა ორგანიზატორებმა აკაკი წერეთლის მიერ დაწერილი ნაკლებად ცნობილი სტროფია და სწორედ ის გახდა სამოქალაქო კამპანიის ერთიანი მესიჯი. 25 თებერვალს ყოფილი პარლამენტის შენობის წინ „ქვების აქცია“ ჩატარდება, მოგვიანებით კი ღონისძიებები რუსეთის საელჩოსთან გადაინაცვლებს. დაგეგმილია კონფერენცია თემაზე „რამდენიმე ეპიზოდი დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებიდან“ (1918-1921) და დისკუსია თემაზე „ცვლილებები ოკუპაციის შესახებ კანონში“. აგრარული უნივერსიტეტში გაიხსნება საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილი გამოფენა, მშვიდობის ხიდზე მოეწყობა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის მიერ ორგანიზებული „სანთლების აქცია“, აგრარულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ დაიგეგმა კონცერტიც. მოქალაქეები შეიკრიბებიან რიყეზეც და რამდენიმეწუთიანი დუმილით ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლთა ხსოვნას პატივს მიაგებენ. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვევა, სადაც სტუდენტებსა და თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტებს შეხვდება. შეხვედრაში თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. შეხვედრაზე ირაკლი ალასანია ისაუბრებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში ქართველი იუნკრების ერთკვირიან თავდადებულ ბრძოლაზე. ამ თარიღთან დაკავშირებით, თსუ-ის მუზეუმი ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის ამსახველ ფოტომასალას, თსუ-ის რეპრესირებული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ფოტოებს გამოფენს. დამთვალიერებელს საშუალება ექნება გაეცნოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვას, რომლითაც მან 1921 წლის 23 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილ სტუდენტობას მიმართა: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა მე თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ მაგრამ, ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ.“ თსუ-ის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილ გამოფენასთან ერთად, თსუ-ის პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის წიგნის „უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში“ პრეზენტაციაც გაიმართება.

# კონსერვატორიაში ვოკალური მუსიკის კონცერტი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

პირველ მარტს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვოკალური მუსიკის კონცერტი გაიმართება. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები და სიმფონიური ორკესტრი წარმოადგენს კონცერტს, რომელშიც იმღერებენ ირინე თაბორიძე, ირინე იოსებიძე, ლიანა კალმახელიძე, მარიკა მაჩიტიძე, ელენე ჯანჯალია, გია ასათიანი, ვანო გალუაშვილი, არმაზ დარაშვილი, კახაბერ თეთვაძე, ზურაბ იაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ირაკლი მურჯიკნელი, ანზორ ხიდაშელი, ალექსანდრე ხომერიკი და ვახტანგ ჯაშიაშვილი.

საკონცერტო პროგრამა მრავალფეროვანია და შესრულდება არიები და სცენები როსინის, ვერდის, ვაგნერის, პუჩინის, არაყიშვილისა და ფალიაშვილის ოპერებიდან. მომღერლებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო წარუძღვება.

# ქართველი მხატვრების ნამუშევრები ჰაიარტუნ ცენტრში გამოიფინა

ეკა ირემაშვილი

14 ქართველი მხატვრის ნამუშევარი ჰაიარტუნ ცენტრში გამოიფინა.



როგორც საქართველოს სომეხ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე მერუჟან შაუმიანი აცხადებს, ეს არის ხელოვნების სახლი, სადაც ეტაპობრივად სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები ეწყობა. ცენტრის ხელმძღვანელია ლევონ ჩიტილიანი, რომელიც პროფესიით მსახიობია, მაგრამ ამჟამად ამ ცენტრს ხელმძღვანელობს.

ჰაიარტუნ ცენტრში გამოიფინა ამირან კუპრავას, ანგელინა დამენიას, ბრუნო ვეფხვაძეს, გია მარკოზაშვილის, გურამ ცერცვაძის, გია რევაზიშვილის, თამარ სულხანიშვილის, თემურ დვალიშვილის, მერაბ გაბუნიას, მალხაზ რჩეულიშვილის, პაატა კლდიაშვილის, ჯოვანი ვეფხვაძის, ტატიანა პაპისაშვილისა და ომარ კაჭკაჭიშვილის ნამუშევრები. ამჯერად თემატიკა შეზღუდული არ ყოფილა, ამიტომ დამთვალიერებლის წინაშე ექსპოზიციის ავტორებმა წარმოადგინეს პორტრეტი, კომპოზიცია, ნატურმორტი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სომხეთის ელჩი საქართველოში ჰოვანეს მანუკიანი, მეუფე ვაზგენ მირზახანიანი, კავკასიის მუსულმანთა შეიხი ალი ალიევი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი და პარლამენტის წევრი რუსლან პოღოსიანი.

**მერუჟან შაუმიანი, საქართველოს სომეხ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე:**

– ჩვენ ქართველი მხატვრები ვართ, მაგრამ წარმოშობით სომხები, ქართული ფერწერის სკოლას წარმოვადგენთ. ცენტრში ყოველთვის ვაწყობთ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს, რომელიც ავლაბარში ეჩმიაძინის ეკლესიის გვერდით მდებარეობს. ამჯერად გამოვფინეთ 14 ქართველი მხატვრის 33 ნამუშევარი. თემატიკა იყო თავისუფალი, ამიტომ ყველაფერი გამოიფინა – პორტრეტი, კომპოზიცია, ნატურმორტი, ეგზოტიკური თემებიც იყო, წარმოდგენილი არ ყოფილა ნამუშევრები რელიგიურ თემატიკაზე.



***– თქვენი ნამუშევრები რატომ არ გამოფინეთ?***

– ამჯერად ჩვენი საგამოფენო სივრცე მხოლოდ ქართველ მხატვრებს დავუთმეთ. მეც მხატვარი ვარ, რელიგიურ მინიატურებზე ვმუშაობ. ჩვენ ეტაპობრივად ვგეგმავთ ხოლმე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს, ვაწყობთ გამოფენებს, პოეზიის საღამოებს, ვატარებთ ცეკვისა და სიმღერის კონცერტებს. ეს ცენტრი წელიწადნახევარია რაც დაარსდა და აქ შეისწავლება ცეკვა, სიმღერა, ლექსების მხატვრული კითხვაც. მომავალი თაობა კულტურას პატარაობიდანვე ეზიარება. ჰაიარტუნ ცენტრის არსებობის მანძილზე მოეწყო 14 გამოფენა, აქ გაერთიანებულია სომეხ ინტელიგენტთა კავშირი და მუსიკოსთა კავშირი. ყოველ კვირას ვატარებთ ღონისძიებებს, სადაც ვიწვევთ პოეტებს, მწერლებს, ამჯერად ქართველი მხატვრები მოვიწვიეთ, რომლებიც ყველაზე წამყვანი და საინტერესო მხატვრები არიან ქართულ სახვით ხელოვნებაში. ღონისძიებამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა და მაღალ დონეზე ჩატარდა.

***– როდემდე დარჩება ეს ნამუშევრები საგამოფენო სივრცეში?***

– გამოფენა ჰაიარტუნ ცენტრში 7 მარტამდე გაგრძელდება.

# სკანვორდი



1. ..., იგრეკი, ზეტი; 2. ხეთების ქალღმერთი; 3. რაიმე უნარის დაჩლუნგება, დაკარგვა; 4. ბიბლიური პერსონაჟი; 5. ხელოვნური ბოჭკო; 6. ჟან რენოს კინოროლი; 7. ნიგერიის ფულის ერთეული; 8. ქალაქი იაპონიაში; 9. მშვილდით სასროლი ჯოხი; 10. ტურგენევის მოთხრობა; 11. ანტილოპების გვარის ცხოველი; 12. ლოტოს მსგავსი თამაში; 13. ამონი; 14. ამერიკული თოჯინა; 15. მემამულე თურქეთში (ძვ.); 16. ცირკის მოედანი; 17. სატურნის თანამგზავრი; 18. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 19. პირველი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემა; 20. თაღი; 21. განსჯის პროდუქტი; 22. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 23. იაპონიის ფულის ერთეული; 24. მდინარე აზიაში; 25. სასიმინდე; 26. ღვინის ობი; 27. ქსენოფონტის თხზულება; 28. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 29. საარჩევნო ყუთი; 30. ფრანგული საწებელი; 31. მოსწავლის ნივთი; 32. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი; 33. კომში; 34. ... ვალონე.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუმბაი; 2. ღვინო; 3. ბობი; 5. თოხანი; 6. შტატი; 7. ლივადია; 11. აზალია; 13. არიფანა; 14. დვალი; 15. ცენზორი; 16. კურსები; 17. ბატონი; 19. ავაზა; 20. ბასი.

**თარაზულად:** 1. მაღრიბი; 4. გოეთე; 8. ბრიზი; 9. ხულა; 10. ბონსაი; 12. თარხანი; 14. დილა; 15. ცაგარელი; 16. კოალა; 18. მაზდა; 21. ტოკაი; 22. ბობსლეი; 23. ზინგერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იპოთეკა; 2. ფეიხოა; 3. ალრტუიზმი; 4. ჯამილე; 5. ვესტერნი; 7. ელია; 11. რეალობა; 13. თურქეთი; 15. მესხი; 16. კასიო; 18. ეზოპე; 19. დანია.

**თარაზულად:** 6. პერესი; 8. ბესელია; 9. კამპუსი; 10. ესკადრა; 12. ყანწი; 14. ტეხური; 17. მარმელადი; 20. დიორამა; 21. სხალთა; 22. პოლისი; 23. ჯოკოვიჩი.

# ირმა გიგანმა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დაუკრა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხვდი, რომ არ გამომდიოდა ნაწარმოები, რომელიც კონცერტის დასაწყისში უნდა შესრულებულიყო, ამიტომ გადავწყვიტეთ ეს ნაწარმოები შესრულებულიყო პირველი განყოფილების ბოლოს. ეს არის მცირე ნაწარმოები, რომელსაც „პასუხი“ ეწოდება და გამოძახილია იმ მოვლენების მიმართ, რომელიც ჩვენს თავს ხდება. 1,5 თვის წინ გადაიდგა ნაბიჯი ორკესტრის რეფორმასთან დაკავშირებით და ამან საზოგადოებაში ბევრი კითხვა გააჩინა, ეს მოვლენები გაშუქდა პრესით, ტელევიზიებით და ვიცი, რომ კიდევ იგეგმება. მთხოვდნენ გამეცა პასუხი ამ ბრალდებებზე, მაგრამ ჩემი კოლეგების რჩევით, გადავწყვიტე არ გამეცა პასუხი, რადგან ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ. როცა ამ ნაწარმოებს ვწერდი, მივხვდი, რომ ეს არის პასუხი და რაც ახლა შესრულდება, ეს იქნება ჩვენი პასუხი. ამ ორკესტრის რენესანსი იწყება და ვხარობ და თან მწყინს, რომ ორკესტრს ადამიანები გამოაკლდნენ. ჩემი პოზიცია ამ ნაწარმოებში ყველაზე კარგად ჩანს. ვღელავ, რადგან კომპოზიტორისთვის პრემიერა არის ამაღელვებელი. მდლობა მობრძანებისთვის და წარმოვადგენ ჩემს პატარა პიესას სახელწოდებით „პასუხი“, – განაცხადა პრემიერის წინ ნიკა მემანიშვილმა.

ნიკა მემანიშვილის ნაწარმოების საპრემიერო შესრულებისას ფლეიტაზე არიელ ცუკერმანმაც დაუკრა. მუსიკალურ ნაწარმოებში ტექსტიც იყო ჩასმული, სადაც გარკვევით ისმოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ხმა – „ერთ საათში გაუშვა 33 მუსიკოსი“.

კონცერტების სერია ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში პირველ მარტს გაგრძელდება, სადაც კონცერტს პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი გამართავს. საკონცერტო პროგრამაშია ფელიქს მენდელსონის სიმფონია სიმებისათვის №7, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი №12 და ანტონინ დვორჟაკის სერენადა სიმებისთვის.

# „ზესტაფონი“ საქართველოში ტიტულებით მესამე გუნდი გახდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფონს“ გამარჯვებას. უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ამასთან, ეს პირველი ოფიციალური მატჩი იყო ორივე გუნდისთვის და ისეთი სანახაობრივი ვერ გამოვიდა. ყველაფერი საფეხბურთო ლატარიამ გადაწყვიტა.

***– ქართულ ფეხბურთს დიდი ხანია იცნობთ, ახლა აქ სამუშაოდ ხართ. როგორ შეაფასებდით თანამედროვე ქართულ ფეხბურთს?***

– ქართული ფეხბურთი ვითარდება, ეს ფაქტია. გუნდებმა რაღაც გარკვეულ დონეს მიაღწიეს. საქართველოში ფეხბურთის თამაში სულ შეეძლოთ.

***– გორის „დილას“ საკმაო ამბიციები გააჩნია, თქვენ რას უსახავთ გუნდს მიზნად მიმდინარე სეზონში?***

– ამბიცია ყველა გუნდს გააჩნია და ყველა იბრძვის. ზოგი ჩემპიონობისთვის, ზოგიც ევროსაგზურებისთვის. ფაქტია, რომ ბრძოლა იქნება და ჩვენც შევეცდებით ჩვენი თამაში ვითამაშოთ.

**კახა კაჭარავა:**

– პირველ რიგში, მინდა ბიჭებს მივულოცო, მათი დამსახურებაა დღევანდელი გამარჯვება. თამაშის ხარისხზე კარგს ნამდვილად ვერ გეტყვით, იყო ჩვენი მხრიდან შეთამაშების პრობლემა, გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო. გუნდს რაც შეეხება, სელექცია გრძელდება, ველოდებით როგორც ქართველ, ისე უცხოელ ფეხბურთელებს, ეს მუდმივი პროცესი იქნება და გაგრძელდება ჩემპიონატის დროსაც.

**ორიოლ ლოსანო (ზესტაფონი):**

– ძალიან გახარებული ვარ, ახალ გუნდთან ერთად პირველივე ოფიციალურ თამაშში ტიტული მოვიპოვეთ, ეს ტიტული ჩემთვის პირველია, პირველი ფინალი იყო ჩემს კარიერაში, რამაც უზომოდ გამახარა.

# ლატვიაში მეტეორი ჩამოვარდა

გასულ ღამეს კიდევ ერთი მეტეორი, ამჯერად ლატვიის თავზე დაფიქსირდა. ამის შესახებ ქვეყნის მეტეოროლოგიური ცენტრი ავრცელებს ინფორმაციას.

თვითმხილველთა თქმით, მეტეორის ვარდნას თან ახლდა ძლიერი ხმაური და მწვანე შუქი. ჩამოვარდნამდე მეტეორი ჰაერში დაიწვა. მისი დანახვა ვიდზემის, ზემგალასა და იურმალას მოსახლეობას შეეძლო.

მეტეორი შენიშნეს ფინეთშიც, სადაც ის უნივერსიტეტის ობსერვატორიის დაკვირვების კამერამ დააფიქსირა.

შეგახსენებთ, რომ 15 თებერვალს რუსეთში, ჩელიაბინსკის მხარეში მეტეორი ჩამოვარდა, რის შედეგადაც 1200 ადამიანი დაშავდა.

17 მეტრის სიგრძის მეტეორი, რომლის მასაც 10.000 ტონას უტოლდებოდა დედამიწის ატმოსფეროში 54.000 კმ/სთ სიჩქარით შემოვიდა. ატმოსფეროში შემოსვლისას მისი აფეთქების სიმძლავრე, ნასა-ს მონაცემებით, 300-დან 500-მდე კილოტონას გაუტოლდა. მეტეორის ფრაგმენტები მეცნიერებმა ჩებარკულის ტბის რაიონში აღმოაჩინეს.

ამ ფონზე, რუსეთის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სამხედრო ტექნიკა და ხუთასამდე დესანტი გადაისროლეს ჩელიაბინსკში, სადაც არაგეგმიური მასშტაბური წვრთნები გადაიტანეს.

პირადი შემადგენლობის და ტექნიკის გადასხმა აეროდრომ „შაგოლში" განხორციელდა. სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების „ილ-76" დაშვება აეროპორტში დაიწყო საღამოს 6 საათიდან. სულ ჩაფრინდა ოცი ბორტი, რომლებმაც ჩაიყვანეს პირადი შემადგენლობის 500 ერთეული და ტექნიკის 60 ერთეული.

ბატალიონი სამხედრო განგაშმა ქ. ივანოვოში დილის ოთხ საათზე დააყენა ფეხზე, საიდანაც ისინი ჩელიაბინსკში გადაისროლეს. ჯერ კიდევ წინა დღით არავისთვის არ იყო ცნობილი, რომ ჩებარკულში წვრთნები იწყებოდა. სწორედ ესაა ამოცანა: მაქსიმალურად მოკლე დროში სრული შემადგენლობით აღმოჩნდეს მოსალოდნელი სამხედრო მოქმედებების ადგილას. ეს მობილიზებულს ხდის პირად შემადგენლობას, რის გამოც ქვედანაყოფი მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაშია. ასე რომ, ასეთი წვრთნები ჩვენთვის არც ახალია და არც პირველი, – განაცხადა 217 საპარაშუტო-სადესანტო პოლკის მეორე ბატალიონის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა მახმუტოვმა.

წვრთნები გამოცხადებულია თავდაცვის სამინისტროს მიერ და გავრცელებული ინფორმაციით, არანაირ კავშირში არ არის მეტეორიტის ჩამოვარდნსთან. რამდენ ხანს გაგრძელდება წვრთნები არ ზუსტდება.

# იტალიური მედია: „რომის პაპი საკუთარი ნებით არ გადამდგარა"

რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაური, სინამდვილეში, საკუთარი ნებით არ გადამდგარა. ამის შესახებ იტალიური მედია ალაპარაკდა. მედიის ინფორმაციით, პაპის დაჩქარებული გადადგომა 200 გვერდიან მოხსენებას მოჰყვა, სადაც სასულიერო პირების ჰომოსექსუალიზმში მხილება იყო აღწერილი.

დოკუმენტი, რომელიც იტალიურ პრესას ჩაუვარდა ხელთ, შეიცავს კომპრომატებს ვატიკანის რამდენიმე კარდინალზე. ამას გარდა, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც კორუფციასა და კათოლიკური ეკლესიის ქონების უკანონო მიტაცებაში არიან მხილებულნი.

ამ დროისათვის, ვატიკანი ამ ინფორმაციის კომენტირებაზე უარს აცხადებს. ეკლესიის პრეს-ატაშემ კი ყველას მოუწოდა, რომ „საკუთარი საქმეებით დაკავდნენ". თუმცა, კათოლიკურმა ეკლესიამ უკვე შექმნა კომისია ესპანელი კარდინალის, ხულიან ხეპანსომის ხელმძღვანელობით, რომელიც პრესაში გავრცელებულ ფაქტებს გადაამოწმებს.

ბენედიქტ მეთექვსმეტე თავის მოვალეობას 28 თებერვლის 17.00 საათამდე შეასრულებს. პონტიფიკოსი 27 თებერვალს წმინდა პეტრეს მოედანზე საჯარო აუდიენციას მოაწყობს. ვატიკანი ვალდებულია, რომ ახალი პაპი თვენახევრის შემდეგ აირჩიოს.

რომის პაპი კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურია. რელიგიური ტრადიციის მიხედვით რომის პაპი ითვლება მოციქულ პეტრეს მემკვიდრედ, ქრისტეს წარმომადგენლად და ეკლესიის ხილულ წინამძღვრად. ბენედიქტე მე-16 არის პეტრე მოციქულის 265-ე მემკვიდრე. კარდინალთაგან რომის პაპს კონკლავი ირჩევს მთელი სიცოცხლის ვადით, 1523 წლიდან (კლიმენტი მეშვიდე) 1978 წლამდე (იოანე-პავლე მეორე) რომის პაპად პრაქტიკულად მხოლოდ იტალიელებს ირჩევდნენ. იტალიელთა გარდა, მთელი ისტორიის მანძილზე იყვნენ ფრანგი (19-ჯერ), ბერძენი (15-ჯერ), სირიელი (7-ჯერ), ესპანელი (7-ჯერ), გერმანელი (6-ჯერ), ეგვიპტელი (ალექსანდრიიდან, 2-ჯერ), ინგლისელი, პოლონელი, პორტუგალიელი და ჰოლანდიელი პაპები.

# იტალიაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს



იტალიაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობს. უცხოური მედიის ინფორმაციით, საარჩევნო უბნები ქვეყნის მასშტაბით დილის 08:00 საათზე გაიხსნა.

იტალიაში 50 მილიონი ამომრჩეველია რეგისტრირებული, ხოლო სულ გახსნილია 60 ათასი საარჩევნო უბანი.

ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, არჩევნები ორი დღის განმავლობაში ჩატარდება. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია იტალიის ახალი მთავრობის ფორმირებას მოახდენს.

არჩევნებში მონაწილეობას იღებენ სილვიო ბერლუსკონი „თავისუფლების ხალხიდან", პიერლუიჯი ბერსანის მემარცხენე ცენტრისტული დემოკრატიული პარტია და ყოფილ პრემიერ-მინისტრ მარიო მონტის ცენტრი. ყველა მოულოდნელი პროვოკატორის – კომიკოს ბეპე გრილოს წინააღმდეგ გამოდის, რომელიც კორუმპირებულ ხელისუფლებას რევოლუციას ჰპირდება. – წერს უცხოური მედია.

იტალიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები ვადამდე, მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ტარდება. ამის მიზეზი 2011 წელს, სილვიო ბერლუსკონის გადადგომის შემდეგ მინისტრთა კაბინეტის კრიზისი გახდა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ამ არჩევნებზე კვლავაც მემარჯვენე ცენტრისტულ კოალიციას ხელმძღვანელობს, რომელშიც მისი პარტია „თავისუფლების ხალხი" და ჩრდილოეთის ლიგიდან ძველი მოკავშირეები შედიან. როგორც მან არაერთხელ აღნიშნა, თავისი ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში იგი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე საკუთარ კანდიდატურას არ წამოაყენებს და ფინანსთა, ან ეკონომიკური განვითარების მინისტრის თანამდებობით შემოიფარგლება. მისი მთავარი ოპონენტია დემოკრატიული პარტია, პიერლუიჯი ბერსანის ხელმძღვანელობით, რომელიც საკუთარ კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარადგენს.

მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს ხმების ნაწილს წაართმევს ცენტრი, რომლის პოზიციებიც მნიშვნელოვნად ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მარიო მონტიმ გაამყარა. კენჭისყრის მოულოდნელი მონაწილეა „5 ვარსკვლავის მოძრაობა", რომელსაც სათავეში პოპულარული იტალიელი კომიკოსი ბეპე გრილო უდგას. ეს გაერთიანება ერთი წლის წინათ არსებული პოლიტიკოსების მიმართ იტალიელების აპათიისა და განხიბვლის ფონზე შეიქმნა. მან პოპულარობა მოსახლეობის ყველა ფენაში მოიპოვა.

დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ „5 ვარსკვლავის მოძრაობა", რომელიც მოსახლეობას კორუფციისა და სკანდალის აღმოფხვრას ჰპირდება, შეიძლება, ახალ პარლამენტში წამყვან ძალად იქცეს. ბერსანი, ბერლუსკონი და მონტი გრილოს წინააღმდეგ გამოდიან. ისინი მას საშიშ სოციალურ მოვლენად მიიჩნევენ, რომელიც სტაბილურობას საფრთხეს უქმნის.

თავად ბერლუსკონიმ გუშინ იტერვიუ მისცა საბერძნეთის ტელევიზიას, რის გამოც იგი წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევაში დაადანაშაულეს. იტალიის კანონმდებლობის მიხედვით საარჩევნო აგიტაცია არჩევნებამდე 24 საათით ადრე წყდება.

კრნჭისყრა ხვალ, შუა დღეს დასრულდება, რის შემდეგაც გამოქვეყნდება ეგზიტპოლების პირველი შედეგები. ოფიციალური შედეგები კი ხუთშაბათს იქნება ცნობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ეკონომიკა ამჟამად რეცესიას განიცდის.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, ტექნოკრატების ხელისუფლება, რომელსაც სათავეში მარიო მონტი უდგას, იძულებული გახდა გადაედგა ბიუჯეტის ეკონომიის უკიდურესად არაპოპულიარული ნაბიჯები.

# კვიპროსში პრეზიდენტს ირჩევენ

კვიპროსში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იმართება. პრეზიდენტის პოსტისთვის მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის „დემოკრატიული შეკრება" კანდიდატი ნიკოს ანასტასიადი და მემარცხენე პარტიის აკელი-ის წარმომადგენელი სტავროს მალასი იბრძვიან.

კვიპროსის ახალ ლიდერს მოუწევს მოლაპარაკებების გამართვა ევროკავშირთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური დახმარების მისაღებად.

კვიპროსის ხელისუფლების განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკას ევროკავშირის დახმარება ესაჭიროება. შესაბამისად, კვიპროსი ხდება მეხუთე ქვეყანა ევროკვშირში, რომელმაც ვერ შეძლო დამოუკიდებლად გამკლავებოდა საკუთარ ფინანსურ პრობლემებს.

კვიპროსის პრეზიდენტი სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია, მოსახლეობა ირჩევს 5 წლის ვადით. თანამდებობა დაარსდა 1960 წელს, მას შემდეგ რაც კვიპროსის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

# ჯონ კერი პირველ უცხოურ ტურნეს იწყებს

ჯონ კერი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რანგში თავის პირველ უცხოურ ტურნეს იწყებს.



კერი პირველ რიგში ლონდონში ჩავა და ბრიტანელ კოლეგასთან გამართავს შეხვედრას. შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრება.

ვიზიტის ფარგლებში ის გეგმავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრას.

ექსპერტები აცხადებენ, რომ სწორედ ლავროვთან შეხვედრა იქნება მნიშვნელოვანი სახელმწიფო მდივნისთვის.

ორი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სირიის კონფლიქტის, ირანის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის და პალესტინა-ისრაელის მშვიდობიანი დარეგულირების საკითხებზე იმსჯელებენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერეგი ლავროვმა ამერიკა სირიის კრიზისთან მიმართებაში ორმაგი სტრანდარტების გამოყენებაში დაადანაშაულა. საქმე ეხება გაეროს უშიშროების საბჭოში ამერიკის მიერ იმ განცხადების დაბლოკვას, რომელიც ცოტა ხნის წინ დამასკოში მომხდარ ტერაქტს გმობს.

შეგახსენებთ, რომ დამასკოში ქვეყნის მმართველი პარტიისა და რუსეთის საელჩოსთან ახლოს მომხდარ აფეთქებას, არსებული მონაცემებით, 53 ადამიანი ემსხვერპლა.

„ჩვენ იმედგაცრუებული ვართ, ვინაიდან უშიშროების საბჭოში ამერიკის პოზიციის გამო სირიაში მომხდარი ტერორისტული აქტი დაგმობილი არ იქნა. ადრე, გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა წევრი ყოველთვის მზად იყო დაეგმო ნებისმიერ ტერაქტი, მიუხედავად იმისა თუ რა მოტივებით ხორციელდებოდა ეს",-განაცხადა ლავროვმა, დღეს, გამართულ პრესკონფერენციაზე.

კერი ისრაელსა და პალესტინაში ჩასვლას არ აპირებს, თუმცა გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მარტში თელ-ავივს აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ეწვევა.

# მეჰრიბან ალიევა „წლის ადამიანი" გახდა

აზერბაიჯანის პირველი ლედი და ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტი, მეჰრიბან ალიევა სოციალური გამოკითხვის შედეგებით „წლის ადამიანად" დასახელდა.

გამოკითხვაში – „დამსახურება თურქული სამყაროს წინაშე 2012", 37 525 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

„წლის ადამიანის" ნომინაციაში, „თურქული სამყაროს საუკეთესო პოლიტიკოსი" თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი გახდა.

მეჰრიბან რიფის ასული ალიევა (დ. 26 აგვისტო, 1964, ბაქო), მილი მეჯლისის დეპუტატი, აზერბაიჯანის მეოთხე პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის მეუღლე, კეთილი ნების ელჩი იუნესკო-ში.



# რუსეთი და ჩინეთი ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო ჩარევის წინააღმდეგნი არიან

დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჩინელ კოლეგასთან საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთი და ჩინეთი წუხან ჩრდილოეთ კორეის მიერ ჩატარებული უკანასკნელი ბირთვული ცდის გამო, თუმცა ისინი ამ ქვეყანაში ნებისმიერი ტიპის სამხედრო ჩარევის წინააღმდეგნი არიან.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეამ მესამე ბირთვული ცდა წარმატებით ჩაატარა. მომხდარი საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო.

ჩრდილოეთ კორეა კი გაეროს ახალ რეზოლუციას ომის გამოცხადების ტოლფასად ჩათვლის. ამის შესახებ საუბარია ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ზოგიერთი ქვეყნის მოწოდება, შემოღებულ იქნეს დამატებითი სანქციები ფხენიანის წინააღმდეგ, სერიოზული პროვოკაციაა, წერია სტატიაში.

სტატია იტყობინება, რომ იაპონიის მთავრობის მეთაური სინძო აბე და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ლი მენ ბაკი სატელეფონო საუბარში შეთანხმდნენ, რომ გაეროსგან ფხენიანის წინააღდეგ მოეთხოვათ დამატებითი საერთაშორისო საქნციები.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღოს რეზოლუცია ახალი სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით", – მოჰყვარს იაპონურ მედიას ციტატა სინძო აბეს სიტყვებიდან.

თავის მხრივ ლი მენ ბაკიც ხაზს უსვამს: „ჩვენ გვჭირდება გაეროს უშიშროების საბჭოს ძლიერი რეზოლუცია. სამხრეთ კორეამ და იაპონიამ უნდა ითანამშრომლონ ამ საკითხთან დაკავშირებით".

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კორეამ 12 თებერვალს განახორციელა ბირთვული იარაღის გამოცდა. აფეთქებას სიმძლავრე 10 კილოტონას აღწევდა.

***მოამზადა გერა მამულაშვილმა***

## TV პროგრამა

**ორშაბათი 25 თებერვალი**

06.30 დ/ფ „სლავას თოვლის შოუ" 07.30 „ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „ადამიანი - პლანეტა" 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა" 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა" 00.00 „საფარი" 00.30 მხ/ფ „ ტეხასური ჟლეტა ხერხით: დასაწყისი" (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები" — „ედინბურგი" 09.00 მხ/ფ „მის კონგენიალურობა" (ს. ბალოკი) 10.45 მხ/ფ „მის კონგენიალურობა-2" 12.35 მხ/ფ „ქალი კატა" (ჰ. ბერი" შ. სტოუნი) 14.15 დ/ფ „ღვინო" 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" მე-3 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები" 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი" 6 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4" 14.40 სერ. „24 – 5" 15.40 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი" 3 სერ. 23.00 მხ/ფ „ლარი ქრაუნი" (ჯ.რობერტსი) 01.00 სერ. „ღვინის გზა" 01.35 მხ/ფ „შიშის აჩრდილი" (მ.დევისი) (ტიტ.) 03.00 მუსიკა




07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერ „ერთგულების ძალა" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „გაფითრებული თებერვლის ლანდი" 07.00 მხ/ფ „მაისის თოვლი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „იყო შაშვი მგალობელი" 13.30 კონცერტი -ანდრე რიე 14.50, 18.35, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ალალე" 17.10 დოკ/ფ „ველური ბუნება" 17.35 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული" 23.30 მოკ/ფ „ქოლგა" 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენეტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი" 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6563 |
| ევრო | 2,1871 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5267 |
| 100 რუსული რუბლი | 5,4556 |

**ამინდის პროგნოზი 25 თებერვლისთვის**





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება **პირველი და მეორე ტომები**
1 მარტიდან **მესამე ტომი**
5 მარტიდან **მეოთხე ტომი**

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ასტროპროგნოზი 25 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! **წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – საღამო მშვენიერი იქნება. **კირჩხიბი** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, ყველა თავს დაგტრიალებთ. **ქალწული** – ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ მოდუნდეთ. **სასწორი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია ყაირათიანად ხარჯოთ. **ღრიანკალი** – თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან, ნუ გააღიზიანებთ მეგობრებს. **მშვილდოსანი** – ახალი შემოთავაზება და ფული გელით. **თხის რქა** – სიკეთე ათმაგად დაგიფასდებათ. **მერწყული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თევზები** – სამსახურში წინსვლა გელით, სახლში – კარგი ახალი ამბები. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. კბილის ექიმი; 8. პირობითი ასოითი ნიშანი; 9. ყვავილთა დედოფალი; 10. საიზოლაციო მასალა; 11. კერძო სასტუმრო; 15. გაწმენდა მინარევებისაგან; 17. ბუნებრივი ცოცხალი ნიმუში; 19. ოპტიკური მოვლენა, ნათელი საგნების ბნელში დიდად გამოჩენა; 21. ოფიციანტი ევროპის ზოგ ქვეყანაში; 22. ზოგი ცხოველის დამსგავსება იმავე ადგილზე მცხოვრებ სხვა ცხოველთან; 23. ბერძნული სიმებიანი საკრავი.

**შვეულად:** 1. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 2. თეორიული მექანიკის ნაწილი; 3. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკები; 4. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. მუსიკალურ-სცენური კომედიური ხასიათის ფილმი; 8. დახურული მსუბუქი ავტო; 12. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 13. იუპიტერის თანამგზავრი; 14. უნებისყოფობა; 16. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 18. ერთი იდეით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი; 20. ქიმიური ელემენტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# ირმა გიგანმა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დაუკრა

*ეკა ირემაშვილი*

ქართველმა პიანისტმა ირმა გიგანმა ფლეიტისტთან და დირიჟორთან არიელ ცუკერმანთან ერთად ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კონცერტი გამართა. საღამოზე შესრულდა შოპენის საფორტეპიანო კონცერტი №1 და დვორჟაკის სიმფონია №7. ირმა გიგანთან ერთად ნაწარმოებები სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა.



კონცერტს ესწრებოდნენ მუსიკოსები, კლასიკური მუსიკის მოყვარულები, პიანისტები და მომღერლები. მათ შორის მამუკა ჩარკვიანი, ირმა სოხაძე, მანანა დოიჯაშვილი, დოდოშკა ხურცილავა, მარინა საღარაძე, ნატო მეტონიძე. კონცერტის დაწყებამდე შეკრებილ საზოგადოებას მიმართა ნიკა მემანიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ღონისძიებები 27 დეკემბერს დაიწყო და საქველმოქმედო კონცერტების სერიაა, რომელიც ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალური ცენტრის კოლექტივის მხარდასაჭერად ტარდება.

– 27 დეკემბერს დავიწყეთ საქველმოქმედო კონცერტების სერია ამ ცენტრის კოლექტივების მხარდასაჭერად. თვე-ნახევარში უკვე მეექვსე კონცერტს ვატარებთ. ორკესტრიც განახლებულია, ამიტომ ჩამოსული სტუმრები ჩვენს მხარდასაჭერად მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონცერტებში. ანიტა რაჭველიშვილს აქვს ფონდი, სადაც ყველას შეუძლია შეიტანოს წვლილი რომ ამ სივრცეს ჰქონდეს გამოყენებითი სადღესასწაულო იერი. აქ კარგი აკუსტიკაა, მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს იმ რანგში, როგორც ეკადრება საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრს. დღევანდელ კონცერტის გმირებიც გვიდგანან გვერდით – პიანისტი ირმა გიგანი და ფლეიტისტი და დირიჟორი არიელ ცუკერმანი მონაწილეობას იღებენ კონცერტში, რომელიც ამ ცენტრის აღორძინებისთვის ტარდება. სიმბოლურია, რომ ირმა გიგანმა აქ აიდგა ფეხი. მის მიერ დაკრულ ორკესტრთა ჩამონათვალში ჩვენი ორკესტრი ჩამონათვალის თავში იწერება და ამით ბედნიერები ვართ. დირიჟორი არიელ ცუკერმანი კი ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ის ინგლოშტატში ხელმძღვანელობდა ქართულ ორკესტრს, რომელიც ყველასთვის კარგად არის ცნობილი. არიელის პირველ საპრეზენტაციო კონცერტზე თქვენ მოისმინეთ იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოების პრემიერა. რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ საკონცერტო პროგრამას, ყურადღებას გავამახვილებ დვორჟაკის სიმფონიაზე. დვორჟაკის ეს ნაწარმოები საქართველოში ან არ შესრულებულა, ან ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, რადგან ხელუხლებელი დაგვხვდა ნოტები ან ვერ ვიპოვეთ და მისი გამოწერა მოგვიწია. პირველ განყოფილებაში შემოგთავაზებთ სიურპრიზს, ერთ ნაწარმოებს, რომელიც პირველად ამ დღეს შესრულდება – აღნიშნა ნიკა მემანიშვილმა.

ირმა გიგანის გამოსვლა მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით, ოვაციებით და ბევრი ყვავილებით დაასაჩუქრა. მან ასევე საჩუქრად მიიღო თავისი ულამაზესი პორტრეტი, ხოლო პიანისტმა ბისზე კიდევ ერთხელ დაუკრა. ამის შემდეგ პრემიერის დროც დადგა.

– არ მინდოდა ამ სადღესასწაულო ხასიათის შეცვლა, რადგან მართლაც განსაკუთრებული და ლამაზი იყო შოპენი ირმასთან და არიელთან ერთად, მაგრამ როცა არიელთან ერთად დავგეგმეთ კონცერტი, მოვილაპარაკეთ, რომ უნდა დამეწერა უვერტიურა. გასულ კვირას დავიწყე მუშაობა, მაგრამ პროცესში მივ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ზაზა ფაჩულია ატლანტას რეკორდსმენია



ქართველი ცენტრი არის ერთადერთი კალათბურთელი „ატლანტა ჰოუქსის“ ისტორიაში, რომელმაც 1 მეოთხედის მანძილზე მეტოქის ფარზე 7 ბურთი მოხსნა. ზაზამ ეს საოცარი შედეგი მეორე 12-წუთეულში შეძლო. საბოლოო ჯამში კი მან 11 მოხსნა მოაგროვა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს – მთავარია, რომ 1 პერიოდში მეტოქის ფარზე განხორციელებული 7 მოხსნით ფაჩულია „ატლანტა ჰოუქსის“ ისტორიაში ჩაეწერა.

თავად მატჩი თრილერი გამოდგა და რაც მთავარია, ატლანტელთათვის წარმატებით დასრულდა. ეს იყო პირველი შეხვედრა „ჰოუქსის“ 6-მატჩიანი გასვლითი ტურნისა, რომელიც ფაჩულიას გუნდმა მილუოკიში გამართა. ბოლო მეოთხედში ატლანტელები 10 ქულით ადგენდნენ, მაგრამ მოახერხეს და ბოლო წამზე მოიგეს – 103:102.

ფაჩულია ამჯერად სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ის სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზე 20 წუთი გაატარა. ზაზამ 5-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, შესაბამისად 3 ქულა დააგროვა, რასაც ზემოთ ნახსენები 11 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაყოლა. ქულებით ვერა, მაგრამ დაცვაში ზაზამ უდიდესი სამსახური გაუწია ატლანტელებს. ფაჩულიამ ამ შეხვედრაში ტექნიკური ჯარიმაც მიიღო, ოღონდ მასთან მოკამათე მილუოკელი ბებერი ცენტრი სამუელ დალამბერტიც ანალოგიურად დასაჯეს. მატჩის შემდეგ ფაჩულიამ კომენტარიც გააკეთა:

– მას მე ვუთხარი, რომ ჩემი გუნდის რეკორდი მოვხსენი მეოთხედში მეტოქის ფარზე მოხსნილი 7 ბურთით. მისი რეაქცია მიუღებელი იყო. ის გაშმაგდა და მცირე გაუგებრობაც ამან გამოიწვია.

ატლანტელებს 31 მოგება და 23 მარცხი აქვთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-6 ადგილზე არიან, თუმცა უკვე ერთი მოგებაღა აშორებთ მე-5 „ჩიკაგო ბულსთან“. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი ხვალ დეტროიტში გამართავს.

*მ. ყ.*